პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 14 (12526) | ხუთშაბათი, 17 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მეგობრობისა და ძმობის ვითარებაში

ბერლინი, 16 იანვარი, საკუთარი სპეციალური კორესპონდენტები ვ. სელივერსტოვი და ე. ბაშმაჩნიკოვი იუწყებიან:

დღეს ვერნერ ზელეენბინდერის სახელობის ვეებერთელა დარბაზი სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაივსო ხალხით. ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა წინადღით შეიტყეს, რომ დღეს პირველი გამოვა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ტევა არ არის დარბაზსა და პრესის ლოჟაში, ტელევიზიის აპარატები და კინოკამერები მიმართულია ტრიბუნისაკენ.

დილის 9 საათია. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბრუნო ლაიშნერი გახსნილად აცხადებს ყრილობის დილის სხდომას და სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს.

დარბაზში ტაში გრიალებს. როცა ტრიბუნაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ავიდა, კვლავ იგრიალა ოვაციამ. დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს. გაისმის შეძახილები: „მეგობრობა!“.

სიტყვის დასასრულს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობისადმი.

დარბაზში ოვაცია გრიალებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის სახელით სიტყვა მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობას გადასცა საჩუქარი — ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი.

დარბაზში კვლავ გაიმართა ოვაცია, ყველანი ფეხზე დგებიან და მჭუხარედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით!“

ტაშის გრიალში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ძმურად გადაეხვია ამხანაგებს ვალტერ ულბრიხტსა და ოტო გროტეოლს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ლენინის პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ თქვენ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის დელეგატებს, თქვენი პარტიის ყველა წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს!

თქვენი ყრილობა აჯამებს იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გასწიეს სოციალიზმის მშენებლობისათვის V ყრილობის შემდეგ განვლილ ოთხზე მეტ წელიწადში. ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის საფუძვლიან მოხსენებაში ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული თქვენს წარმატებებს, დასახულია პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ყრილობა სახელოვან ფურცელს ჩასწერს სოციალიზმისათვის გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში, შეიტანს დიდმნიშვნელოვან წვლილს მთელი სოციალისტური სისტემის შემდგომ განმტკიცებაში, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

თქვენი ყრილობის მნიშვნელობა იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მიიღებს პარტიის ახალ პროგრამას. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცით, თუ რა არის პარტიის ახალი პროგრამა, ძალღონის რაოდენ დაძაბვასა და რა შემოქმედებითს მუშაობას მოითხოვს მისი მომზადება. თქვენი პარტიის პროგრამაში შემოქმედებითად დამუშავებულია სოციალიზმის მშენებლობის ბევრი პრობლემა გერმანიის პირობებთან შეფარდებით და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან განხილულია თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ახალი პროგრამა მოწმობს თქვენი პარტიის თეორიულ სიმწიფეს.

სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ყრილობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილების განზოგადებისათვის. განსაკუთრებით გაიზარდა ყრილობების როლი უკანასკნელ პერიოდში, როცა აღმოიფხვრა სტალინის პიროვნების კულტის შედეგები და აღდგენილია ლენინური ნორმები, როგორც ცალკეულ პარტიებში, ისე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

ჩვენს დროში სოციალიზმისათვის წარმატებით ვერ ვიბრძოლებთ, მარტოოდენ საკუთარ ეროვნულ გამოცდილებას რომ დავეყრდნოთ, ყველაფერში მხოლოდ ჩვენი ცოდნის იმედი რომ ვიქონიოთ, ყურადღება არ მივაქციოთ იმას, თუ როგორია საქმის ვითარება მეზობლებთან, უაღრესი ყურადღებით არ შევისწავლოთ ჩვენი კლასობრივი ძმების გამოცდილება.

კომუნისტების ინტერნაციონალიზმი აგრეთვე იმითაც ვლინდება, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური მშენებლობის კოლექტიური გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას. თუ გვინდა უფრო სწრაფად და უკეთ ვაკეთოთ ჩვენი საერთო საქმე, მუდამ, სისტემატურად უნდა გადავიღოთ ერთმანეთისაგან ყველაფერი საუკეთესო, ან, როგორც იტყვიან, შევამოწმოთ ერთმანეთის საათის მუშაობა.

ბულგარეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოძმე პარტიათა ყრილობებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა, შეაჯამეს სოციალისტური მშენებლობის მთელი ეტაპის შედეგი. მათ განიხილეს თავიანთ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული საკითხები არა იზოლირებულად, არამედ მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანებთან მჭიდრო კავშირით. ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული იტალიის კომუნისტური პარტიის ამასწინანდელი ყრილობის მუშაობაც. იტალიელი კომუნისტები, ისევე როგორც სოციალისტური ქვეყნების კომუნისტები, აქტიურად, შემოქმედებითად მიუდგნენ თანამედროვე ეპოქის ყველაზე მწვავე პრობლემებს.

მეტი წილი მოძმე პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობამ ამ ყრილობების მუშაობაში მათ საერთაშორისო კომუნისტური ფორუმების ხასიათი მიანიჭა. ყრილობებმა ცხადყვეს, რომ განუხრელად იზრდება საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მებრძოლი ძალები. მათ ცხადყვეს კომუნისტების ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, მათი დაუცხრომელი მისწრაფება განამტკიცონ დიადი სოციალისტური ბანაკი, თავიანთი რიგების ერთობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების კომუნისტებს, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ თავიანთი შრომით, თავიანთი ბრძოლით ყოველმხრივ განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობა, მისი პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე, განამტკიცონ და შეაკავშირონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა.

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ, ამხანაგებო, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა კომუნიზმის მშენებლობაში.

ორმოცდახუთ წელიწადში საბჭოთა კავშირმა ისტორიული განვითარების დიდი გზა განვლო. თქვენ კარგად იცით, რომ მეფის რუსეთი ეკონომიურად დიდად ჩამორჩებოდა ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მაშინ, როცა მუშათა კლასმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღო ძალაუფლება. ახლა საბჭოთა კავშირი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელმაც უკვე დიდი ხანია გაუსწრო სამრეწველო წარმოების დონით ევროპის ქვეყნებს და სადაც არის დაეწევა კაპიტალიზმის ისეთ მძლავრ ქვეყანას, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

წინათ, როცა უნდოდათ აღენიშნათ ჩვენი ეკონომიური აღმავლობის სწრაფი ტემპები, ამბობდნენ, საბჭოთა ხალხი გოლიათური ნაბიჯით მიდის წინო. ახლა ეს შედარებაც ვერ გამოხატავს მთლიანად ჩვენს სწრაფ წინსვლას. ჩვენ არათუ სწრაფად ვზრდით სამრეწველო წარმოების მოცულობას, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალ მწვერვალებსაც ვიპყრობთ. კოსმოსური ხომალდების ასაშენებლად ხომ საჭიროა მძლავრი სამრეწველო ბაზა, მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე. კოსმოსური ხომალდები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული და მეცნიერულ-ტექნიკური აყვავების საუკეთესო მაჩვენებელია.

დიდი ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ელექტროსადგურების მთლიანი ქსელით დაიფარებოდა.



უკვე შორს არ არის ის დრო, როცა მისი ანდერძი სავსებით განხორციელდება. საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. მარტო ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე აღემატება ჩვენი ქვეყნის 1948 წლის ყველა ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს.

XXI ყრილობაზე სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას რომ ვიღებდით, დასავლეთში ბევრს არ სჯეროდა ამ გეგმის რეალობა. ახლა სკკპ კონგრესები ჩაჩუმდნენ. სამრეწველო პროდუქციის მატებამ შვიდწლედის ოთხ წელიწადში 45 პროცენტი შეადგინა, და არა 39 პროცენტი, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული. თუ ჩვენში საქმე კვლავაც ასე წარმატებით წავა, ამაში კი ეჭვი არ გვეპარება, შვიდწლედის დამლევისათვის ჩვენი მრეწველობა თავის პროდუქციას გაადიდებს არა 80 პროცენტით, არამედ დაახლოებით ერთიორად.

განვითარების ტემპებს აჩქარებს სოფლის მეურნეობაც, რომლის მშრომელები ცდილობენ მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი პური, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები. დასავლეთში ხშირად აბობენ, საბჭოთა კავშირში მიღწეულია დიდი წარმატებანი სამრეწველო წარმოებაში, ხოლო სოფლის მეურნეობაში საქმე ვერ გვარდებაო. მაგრამ ბატონი იმპერიალისტები ამაოდ ცდილობენ ასეთი ილუზიებით ინუგეშონ თავი. ფაქტები ამსხვრევენ მათს მონაჭორებს. უკანასკნელ ათ წელიწადში მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საბჭოთა კავშირში ერთნახევარჯერ-ორჯერ გაიზარდა.

დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის ღონისძიებებს უთუოდ მოჰყვება ის, რომ უახლოეს ხანში ჩვენ სრულად უზრუნველვყოფთ მთელ ჩვენს მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

ერთი წლის წინათ ჩვენმა პარტიამ XXII ყრილობაზე მიიღო ახალი პროგრამა — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმა. კარგად იშრომეს 1962 წელს საბჭოთა ადამიანებმა. თორმეტ თვეში მათ გამოუშვეს მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ომამდელი ხუთწლედების წლებში. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ახლა სამრეწველო განვითარების ერთი წელი უდრის დაახლოებით ომამდელ ცამეტ წელს.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თავიანთი წარმატებებით, მაგრამ ამასთანავე მუდამ ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ იარონ უფრო სწრაფად წინ კომუნიზმის გზით, როგორ მიაღწიონ იმავე დანახარჯებით მეტ და უკეთეს შედეგებს.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იმ მითითებებით, რომ ძალაუფლების აღების შემდეგ მთავარია ეკონომიკის განვითარება სოციალიზმის საფუძველზე, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს ჩვენთვის ყველაზე საინტერესო პოლიტიკაა. ჩვენ, მარქსისტები, არ შეიძლება არ ვხედავდეთ იმას, რომ ეკონომიკის ზრდა, მისი სტრუქტურის შეცვლა მოითხოვს ჩვენს მოქნილ მიდგომას სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. ახლა, როცა გვაქვს მრავალდარგოვანი, დიდად განვითარებული ეკონომიკა, როცა ვგეგმავთ და ვახორციელებთ წარმოების კოორდინაციას ორგანიზაციულად რთულ ათასობით სამრეწველო საწარმოში, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, ცხოვრება გვაიძულებს განუწყვეტლივ სრულვყოთ სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჩვენ საწარმოო პრინციპით რომ გარდავქმნით პარტიულ ორგანიზაციებსა და მათს ხელმძღვანელ ორგანოებს, ვცდილობთ სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა გავხადოთ უფრო კვალიფიციური, კონკრეტული და მიზანსწრაფული, მივუახლოოთ იგი საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება კიდევ უფრო ხელშემწყობ პირობებს შექმნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის, მოაახლოებს სოციალიზმის გამარჯვებას ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ჩვენს პროგრამაში ხაზგასმულია: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. შვიდწლედის ოთხ წელიწადში ეროვნული შემოსავალი ჩვენს ქვეყანაში 31 პროცენტით გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში ორმოცდაათ მილიონზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ მიიღო ახალი ბინა.

ფართოდ ცნობილია საბჭოთა კავშირის წარმატებანი სახალხო განათლების, სპეციალისტთა მომზადების დარგში, მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებაში. მოვიყვან ზოგიერთ ციფრს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოგეჩვენებათ მშრალ და მოსაწყენ ციფრებად. ჩვენი ქვეყნის სკოლებში სწავლობს 42 მილიონი კაცი, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — დაახლოებით ხუთ მილიონნახევარი სტუდენტი. მარტო ინჟინერს ყოველწლიურად ვუშვებთ 120 ათასზე მეტს. მაღლა უჭირავს სოციალისტური კულტურის დროშა ჩვენს შემოქმედებითს ინტელიგენციას.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენთვის, რომლებიც სოციალიზმს აშენებთ გერმანიის მიწა-წყალზე, ახლობელი და გასაგებია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის სიხარული. სოციალისტური საზოგადოების მშრომელები ყოველთვის ბუნებრივ სიამაყეს განიცდიან, როცა აფასებენ როგორც საკუთარი შრომის, ისევე თავიანთი მეგობრების, თავიანთი კლასობრივი ძმების შრომის ნაყოფს. ჩვენთვის სასიამოვნოა, როცა ვხედავთ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც კარგად მიდის საქმე!

თქვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც ომამდელი გერმანიის ტერიტორიის მეოთხედზე ნაკლებია, 1961 წლის დამლევისათვის მიღწეულია მთელი გერმანიის 1936 წლის წარმოების მოცულობის დაახლოებით 90 პროცენტი. დიდი სოციალური წარმატებანი მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა. თქვენი წარმატებანი დაწვრილებით აღინიშნა ამხ. ულბრიხტის მოხსენებაში და მე აქ აღარ გავიმეორებ იმ დამაჯერებელ ციფრებს, რომლებიც ნათლად მოწმობენ, რომ გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფო იზრდება, წარმატებით ვითარდება და მტკიცდება.

თქვენთან ერთად მინდა დღეს მოვიგონო თქვენი შესანიშნავი პოეტის ბეხერის სიტყვები, მიძღვნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი:

„ამ სახელმწიფომ უკვდავების
გახსნა ფურცელი!
განა მითიურ საოცრებით იგი ჩვენ
გვიპყრობს?
არა! გიზგიზებს მასში ჩვენი ხალხის
იდეა.
ამის თავდები — მისი ძალა და
სიდიდეა.
არის სიკეთის და სიმართლის ის
საფუძველი.
მაშ, გამარჯვება და სიცოცხლე
ჩვენს სახელმწიფოს!“

ეს სტრიქონები კარგად მოწმობენ, რომ თქვენი რესპუბლიკის არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ მისი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც გულმხურვალედ და მგზნებარედ უჭერენ მხარს იმ სოციალურ გარდაქმნებს, რაც თქვენს მიწაზე ხდება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტელიგენციის ეს პატიოსანი და მამაცი ხმა, შეიძლება, განსაკუთრებით არ მოსწონთ ბურჟუაზიის იდეოლოგებს, რომელთაც სურთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი კუდში მისჩანჩალებდნენ წვრილბურჟუაზიულ შემგუებელთ, რომ თქვენი ქვეყნის მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოხელოვნების მოღვაწეთა ნაწარმოებები იყოს ნაკლებ ბასრი, ნაკლებ მკაფიო და გარკვეული. მათ, რასაკვირველია, სურთ, რომ არა სოციალისტური რეალიზმის შესანიშნავი კანონები, არამედ ყოველგვარი აბსტრაქტული შენათითხნი განსაზღვრავდეს თქვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის სახეს.

ამ აზრით თქვენმა მწერლებმა და მხატვრებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფხიზლე, არ უნდა დაივიწყონ, რომ ჩაგვრის, სპეკულაციისა და მომხვეჭელობის სამყარო თქვენს გვერდით არის, რომ ტელევიზიის, რადიოს მეშვეობით იგი იჭრება თქვენში და სურს აკეთოს თავისი ბინძური საქმე.

როგორც თქვენ იცით, ამას წინათ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამართა შეხვედრა საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. დიდ სიიდუმლოს როდი გაგიმჟღავნებთ, თუ ვიტყვი, რომ, ალბათ, მალე თქვენი ყრილობის შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდებით ჩვენს შესანიშნავ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოს, თეატრის მოღვაწეებს. კომუნისტური პარტიები არასოდეს არ დაეთანხმებიან მშვიდობიან თანაარსებობას იდეოლოგიის დარგში. როგორც ვ. ი. ლენინმა გვასწავლა, ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით აქტიური დამცველნი პარტიულობის და ხალხურობისა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, მხოლოდ კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით შეიძლება გაიზარდოს და განვითარდეს ჭეშმარიტად ხალხური ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ჩვენი ხელოვნება და ლიტერატურა ამკვიდრებდეს ადამიანებში მშვენიერ საწყისებს, ეხმარებოდეს ხალხებს კომუნიზმის შენებაში.

ჩვენ, კომუნისტებს, გვიხარია, როცა ვხედავთ, რომ მეცნიერული სოციალიზმის იდეები, რომლებიც პირველად გერმანელი ხალხის დიდმა შვილებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა შეიმუშავეს, დღეს სინამდვილედ იქცევა გერმანიის მიწაზეც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები სოციალიზმში გადასვლას ახორციელებენ სპეციფიკურ პირობებში. სოციალისტური საზოგადოების შექმნას თქვენს რესპუბლიკაში უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ძველი გერმანია დიდად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა იყო, ერთ-ერთი პირველი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ის ფაქტი, რომ სწორედ გერმანიაში, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ მის ერთ ნაწილში, ხალხი წარმატებით აშენებს სოციალიზმს, მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიდ ტრიუმფს.

სოციალიზმის გამარჯვება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ეს არის გამარჯვება ახალი წყობილებისა იმ ქვეყნის ნაწილში, რომელიც არც თუ შორეულ წარსულში ყველაზე აღვირახსნილი რეაქციისა და მილიტარიზმის ცენტრი იყო. ჰიტლერული გერმანია განსახიერებდა იმპერიალიზმის ყველაზე ცუდ, ყველაზე ბნელ მხარეებს. ჰიტლერელები ყოველმხრივ წამლავდნენ გერმანელი ხალხის შეგნებას აგრესიული ნაციონალიზმის შხამით.

ის ფაქტი, რომ ახლა თქვენი რესპუბლიკის მუშები და გლეხები, სახალხო ინტელიგენცია სოციალისტური ხალხების ძმურ ოჯახში, მათთან თანამშრომლობით აშენებენ ახალ ცხოვრებას, მოწმობს, რომ თქვენმა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიამ დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა გერმანელი ხალხის სოციალისტურ აღზრდაში.

სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ის აღრმავებდა, რომ გერმანია გაყოფილია სხვადასხვა სოციალური წყობილების ორ სახელმწიფოდ. ეს პარტიისაგან მოითხოვს ახალი საზოგადოების მშენებლობის ბევრი საკითხის განსაკუთრებით მოქნილ და ტაქტიან გადაჭრას. ახალი გერმანიის მტრები ცდილობდნენ და ცდილობენ შეასუსტონ გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სიმტკიცე, ძირი გამოუთხარონ მის ავტორიტეტს როგორც საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე, ისე ამ ქვეყნის შიგნით. კლასობრივი ბრძოლა რესპუბლიკაში ხშირად მწვავე ფორმებს იღებს. მაგრამ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში თქვენმა პარტიამ შეძლო გაეყოლიებინა მილიონობით მშრომელი. უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასს რომ ემყარება, თქვენმა პარტიამ შექმნა და განამტკიცა მთელი პატრიოტული, პროგრესული, დემოკრატიული ძალების ფართო ფრონტი და მიუძღვის მათ სოციალისტური გზით.

დასავლეთ გერმანიაში არიან ქედფიცხელი ადამიანები, რომლებიც დღემდე აწყობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ომის გზით „შეერთების“ გეგმებს. მაგრამ ახალი გერმანია — სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობის წევრი — მტკიცდება და იფურჩქნება. სოციალიზმის მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კანონზომიერი, ბუნებრივი შედეგია გერმანელი ხალხის საზოგადოებრივი პროგრესისა, მისი ბრძოლისა უკეთესი მომავლისათვის.

თქვენი რესპუბლიკის ეკონომიური წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში შედეგია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა, რომელმაც შეძლო გაეერთიანებინა ყველა პოლიტიკური პარტია და მასობ-

(ბაბრძელება მე-2 გვერდზე)

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მიესალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის დელეგატებს, პარტიის ყველა წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს და წარმატებით მუშაობას უსურვებს თქვენს ყრილობას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეექვსე ყრილობა აჯამებს პარტიისა და რესპუბლიკის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პერიოდის შედეგებს. თანამიმდევრულად ახორციელებს რა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ თეორიას, გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაბატონებული ურთიერთობა გახდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად თავისი მებრძოლი გამოწრთობილი ავანგარდის ხელმძღვანელობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ახლა წარმატებით ახორციელებენ სოციალიზმის გაშლილ მშენებლობას.

მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის, ერის ძირეული ინტერესებისადმი ერთგულებისათვის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მშრომელი ხალხის დიდი პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს. გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც თავის მეცადინეობას იმას ახმარს, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს გერმანიის პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, პატრიოტულ ეროვნულ ფრონტში შეაკავშირა ყველა დემოკრატიული პარტია და მასობრივი ორგანიზაციები, სათავეში ჩაუდგა მათს ბრძოლას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფორპოსტია ევროპაში, გერმანელი ხალხის მთელი პროგრესული ძალების ურყევი ბურჯია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის— თავისუფლების, დემოკრატიისა და მშვიდობის ამ უბოროტესი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იბრძვის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მებრძოლი რაზმია. იგი თანამიმდევრულად იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, აქტიურად იბრძვის, რომ განამტკიცოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეაკავშიროს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლით გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ დიდი აქტორიტეტი მოიპოვა მსოფლიო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ყველა საბჭოთა კომუნისტის, მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობებს გამოხატავს, სულითა და გულით უსურვებს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, ყველა გერმანელ კომუნისტს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ახალ დიდ წარმატებებს ამ საქმეში, რომ აააშენონ სოციალიზმი გერმანიის მიწა-წყალზე — მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სამშობლოში.

გაუმარჯოს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ნაცად ხელმძღვანელს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს სოციალისტური ქვეყნების მძლავრი თანამეგობრობა — მშვიდობის საიმედო ბურჯი მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ჩვენს დიად უძლეველ მოძღვრებას — მარქსიზმ-ლენინიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(გაგრძელება)

რივი ორგანიზაცია ერთიან ეროვნულ ფრონტად, რომელიც იბრძვის მშრომელთა ინტერესებისათვის, სოციალიზმისათვის. თქვენმა პარტიამ დარაზმა ხალხი იმ სიძნელეთა დასაძლევად, რასაც თქვენი ქვეყნის გათიშვა იწვევს, წარმართა მისი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის გასაფართოებლად. განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი მუშაობა, რომელიც თქვენმა პარტიამ განახორციელა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირებისათვის. ეს სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანაა. და გერმანელმა ამხანაგებმა წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა.

ამხანაგებო! როცა აქ ვისმენდი ამხანაგ ულბრიხტის მოხსენებას, ჩემი ყურადღება მიიპყრო მოხსენების იმ ნაწილმა, სადაც წამოყენებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა. ვფიქრობ, სწორად გამიგებთ, თუ მეც შევეხები ჩემს სიტყვაში თქვენი რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ამ, ძალიან დიდმნიშვნელოვან საკითხს.

არ დავმალავ, ჩვენი დელეგაცია გაოცდა იმან, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა თქვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყანაში, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა.

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეურნეო განვითარება მიმდინარეობს დასავლეთ გერმანიასთან ეკონომიური შეჯიბრების ნიშნით. ამ შეჯიბრებაში კი ყველაზე მთავარი, რასაკვირველია, ის არის, რომ უზრუნველყოთ უფრო დიდი შრომის ნაყოფიერება, ესე იგი გაუსწროთ დასავლეთ გერმანიას უწინარეს ყოვლისა ამ სარბიელზე. მე ვამბობ, „გაუსწროთ-მეთქი“, და მხედველობაში მაქვს, რომ ახლა თქვენ ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩებით თქვენს პარტნიორს შეჯიბრებაში. თქვენ, გერმანელო ამხანაგებო, ჩვენზე უკეთ იცით ეს.

გასული წელი ბევრ რამეში გარდატეხის წელი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებისათვის. როგორც თქვენი ყველაზე გულწრფელი მეგობრები, ჩვენ ვხარობთ, რომ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში წლის განმავლობაში თითქმის 9 პროცენტით გაიზარდა, ამასთან მყარდება უფრო სწორი თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის, აგრეთვე მოსახლეობის მომარაგების სასაქონლო ფონდსა და მოსახლეობის მყიდველობით უნარს შორის. ძალიან სასიხარულოა, რომ სოფლის მეურნეობაშიც უკეთ მიდის საქმე. თუ თქვენ კვლავაც გამოიჩენთ გერმანელთათვის ესოდენ ჩვეულ სიმტკიცეს და სოციალისტურად მოაწყობთ შრომას, მაშინ თქვენი ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება.

დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და თავისი მთავრობის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს. თქვენი შრომითი წარმატებები მაგალითი იქნება მთელი გერმანელი ხალხისათვის და გახდება არა მარტო შემაკავშირებელი ძალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შიგნით, არამედ მიმზიდველი ძალაც დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხისათვის.

დასავლეთი მარცხნივაა თუ მარჯვნივ?

ხმები: თქვენგან მარჯვნივ, ამხ. ხრუშჩოვ!

ნ. ს. ხრუშჩოვი: გერმანია კი აქაა!

გერმანიის მომავალს აქ, ამ დარბაზში ეყრება საფუძველი! გერმანელი ხალხის გზები აქ ისახება, და ეს არის გერმანიის მუშათა კლასის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალა. თქვენ გამოგყვება მთელი გერმანელი ხალხი მარქს-ენგელს-ლენინის დროშით, რა ძალებიც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამას დასავლეთ გერმანიაში.

დასავლეთში შეიძლება თქვან, რომ ხრუშჩოვი მოუწოდებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — გაილაშქრე გერმანელი ხალხის გაერთიანებისათვისო. ჩემი მოწოდება არ გჭირდებათ. გერმანელებმა თვითონვე იციან ეს, ხოლო რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან, გაიგებენ, რომ გერმანელი ხალხის გაერთიანება იმ საფუძველზე როდი მოხდება, რომელზეც ფიქრობენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტები, მათთან ერთად კი სხვა ქვეყნების მონოპოლისტები. არა, ბატონებო! თქვენი წირვა გამოსულია. ახლა აღდგა ახალი, აღდგა მუშათა კლასი და აი, უკვე, გერმანულ მიწაზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაზე მშრომელმა ხალხმა ხელთ აიღო წითელი დროშა და იერიში მიაქვს მშრომელი ხალხის სრული გამარჯვებისათვის არა მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მან უკვე მოიპოვა ეს გამარჯვება, არამედ მთელი გერმანიის მუშათა კლასის, მთელი გერმანიის მშრომელი ხალხის გამარჯვებისათვისაც.

ახლისა და ძველის ეს დავა ძირითადად გადაწყდება შრომის ფრონტზე. სწორედ ამიტომ მე ერთხელ კიდევ ვამბობ — ის ცხრა პროცენტი, რომლითაც თქვენ გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, დიდი გამარჯვებაა!

მუშათა კლასის სულის სიდიადე მისი კლასობრივი თვითშეგნებაა, ის უნარია, რომ გაიგოს მუშათა კლასისა და ყოველი მუშის როლი თავისი კლასის გარემოში საზოგადოების განვითარებისათვის. მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როცა ხელთ აიღებს ძალაუფლებას და ისე მოაწყობს წარმოებას, რომ შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი გახდეს, ვიდრე მაშინ იყო, როცა იგი კაპიტალისტებისათვის მუშაობდა. აი, ეს არის მთავარი. ჯერჯერობით კი დასავლეთ გერმანიის მუშებს აქვთ უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე თქვენ. ეს, როგორც რუსები იტყვიან, კარგად უნდა დაიმახსოვროთ. გასაგებია ეს თქვენთვის, ამხანაგებო?

ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ის კანონია, რომელიც ერთნაირი კანონია ჩვენი ქვეყნისათვისაც, ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის. ყველა მუშას რიდი აქვს შესაძლებლობა ამაღლდეს მთლიანად საზოგადოების განვითარების გაგებამდე, ზოგიერთი ასეც კი მსჯელობს:

—რას იღებს ფრიცი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობს, რას იღებს ჰანსი, რომელიც დასავლეთში მუშაობს. ამრიგად იგი განსაზღვრავს, თუ სად კარგი მდგომარეობაა, და სად ცუდი.

დიახ, დიახ, ამხანაგებო! ჯერჯერობით ეს ასეა. ამიტომ თქვენი როლი, თქვენი ამოცანაა უკეთ მოაწყოთ წარმოება, აიყვანოთ შრომის ნაყოფიერება ისეთ დონეზე, რომ იგი უფრო მაღალი იყოს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებშია. არც ღმერთი, არც ეშმაკი არაფერს — არც კარაქს, არც პურს არ მოგცემთ, თუ თვითონვე არ შექმნით თქვენი შრომით. ეს, ვფიქრობ, ყველასათვის ცხადია. მეტი რომ გვქონდეს, მეტი უნდა ვაწარმოოთ. თუ უფრო მეტს მოვიხმართ, ვიდრე ვაწარმოებთ, მაშინ კი არ გავმდიდრდებით, არამედ გავლატაკდებით, შევჭამთ ძირითად კაპიტალს და მათხოვრები გავხდებით. დიახ, ამხანაგებო! იძულებული ვიქნებით დახმარება ვითხოვოთ. კი მაგრამ ვინ დაგვეხმაროს, დასავლეთ ბერლინი? მას თვითონ აქვს ხელი გაწვდილი და იმპერიალისტები მიუგდებენ ხოლმე ზოგ რაღეს. მაგრამ ისინი ამ დახმარებას დასავლეთ ბერლინს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის უწევენ. მოვა დრო, როცა დასავლეთის ქვეყნები აღარ მიუგდებენ ნასუფრალს. მათ მობეზრდებათ ფულის უმიზნოდ გადაყრა უძირო ქვევრში.

ჩვენ არ უნდა მოველოდეთ ნასუფრალს მდიდარი ბიძისაგან. მუშები ყოველთვის თავიანთი კუნთებით, თავიანთი ჭკუით, თავიანთი შრომით აღწევდნენ ყველაფერს! მთელი მსოფლიო იმ მატერიალურ ფასეულობებს ემყარება, რომლებიც შექმნეს მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ. ამიტომ ხალხი, რომელმაც ხელთ აიღო ძალაუფლება, თვითონვე ქმნის ყოველივე სიკეთეს. ერთი სიტყვით, მე ვხედავ, რომ თქვენთვის ყველაფერი ცხადია, ამხანაგებო!

ჰიტლერი მთელი ძალით იქნევდა ნაჯახს, რათა ძირფესვიანად მოეთხარა კომუნიზმი გერმანიის მიწაზე. მაგრამ ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ იმ მიწაზე, სადაც დაიღვარა კარლ ლიბკნეხტის, როზა ლუქსემბურგის, ერნსტ ტელმანისა და მუშათა საქმისათვის სხვა ათასობით უანგარო მებრძოლის სისხლი, სოციალიზმის შესანიშნავი აღმონაცენი ამოვიდა. ეს აღმონაცენი განმტკიცდება და განვითარდება იმიტომ, რომ თქვენი პარტია შემოქმედებითი ძალით აღსავსეა, იმიტომ, რომ თქვენ მხარს გიჭერს მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა, იმიტომ, რომ მთელი საერთაშორისო კითარება ხელშემწყობი ხდება ჩვენი საერთო დიადი საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! ვსარგებლობ იმით, რომ სიტყვას ვამბობ ბერლინში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობაზე, და მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან და მწყავე საერთაშორისო პრობლემაზე —გერმანიის პრობლემაზე.

როგორია ახლა ვითარება ამ საკითხში?

ყოფილი ჰიტლერული იმპერიის ადგილას არსებობს ორი სახელმწიფო — მშვიდობისმოყვარე სოციალისტური გერმანია და მილიტარისტული, რევანშისტული, იმპერიალისტური გერმანია. ამას გარდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განმარტოებით დგას, როგორც კაპიტალისტური კუნძული, დასავლეთი ბერლინი. აი თანამედროვე გერმანიის რეალური სურათი. საერთო მსოფლიო მნიშვნელობის ამოცანაა უზრუნველყოთ ორი გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა რეალურად შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით.

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იმ დროსთან შედარებით, როცა წამოვაყენეთ ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და მის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი, არაფერი არ შეცვლილა. ოთხი წელი გავიდა, საზავო ხელშეკრულება კი არ დადებულა. დასავლეთ ბერლინში ჯერ კიდევ არის დიდხანია დრომოჭმული საოკუპაციო რეჟიმი. რევანშიზმი და მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიაში ნაირფერად იფურჩქნება დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული წრეების მფარველობით. და ზოგ ვინმეს შეუძლია თქვას, თითქოს დრო ამაოდ დაიკარგა, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა ვერაფერს ვერ მიაღწიეს, როცა მწვავედ სვამდნენ გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხს.

მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, ის ვერ ხედავს ან სრულებით არ ესმის მომხდარი ცვლილებანი. თუ დაეუკვირდებით და ანალიზს გაუკეთებთ ამ წლების მოვლენათა განვითარებას, არ შეიძლება არ გაღიაროთ, რომ მას შემდეგ რაც ეს საკითხი წამოიჭრა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მოხდა სერიოზული ცვლილებანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციები განმტკიცდა. დიდი ხნის განმავლობაში თქვენს რესპუბლიკას არ ჰქონდა ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ეფექტიანად დაეცვა თავისი სუვერენიტეტი. მისი და დასავლეთ ბერლინის საზღვარი ერთგვარი ღია ჭიშკარი იყო, რომელსაც დაუბრკოლებლად და დაუსჯელად იყენებდნენ ძირგამომთხრელი ძალები არა მარტო იმისათვის, რომ პირდაპირ წაერთმიათ თქვენთვის სასიცოცხლო ძალები, გამოეგლიჯათ რესპუბლიკის მშრომელებისათვის მილიარდობით მარკა ყოველწლიურად, არამედ იმისთვისაც, რომ შეეიარაღათ სოციალიზმის საფუძვლები.

1961 წლის 13 აგვისტოს ბოლო მოეღო ამ უმსგავსობას. 1961 წლის 13 აგვისტო ისტორიული დღეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში.

თქვენ დააწესეთ კონტროლი დასავლეთ ბერლინის საზღვარზე, სწორედ ეს იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებაში. იგი გახდა თავისი საზღვრების ნამდვილი ბატონ-პატრონი და გუშაგი და შესაძლებლობა მიიღო საიმედოდ დაიცვას .გარედან ხელყოფისაგან თავისი სოციალისტური მონაპოვარნი და თავისი მოქალაქეების მშვიდობიანი შრომა.

დასავლეთ ბერლინის საზღვარზე დაცვის ღონისძიებათა მიღებამდე რეაქციის ძალებს შეეძლოთ თავისუფლად შემოსულიყვნენ თქვენს რესპუბლიკაში ძირგამომთხრელი მიზნით, შემოეგზავნათ იმპერიალისტური აგენტურა სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. გამოდიოდა, რომ სოციალისტური სახელმწიფო შეიქმნა, მაგრამ რიგბოდა ხვრელი მის საზღვარში, რითაც უტიფრად და ბოროტად სარგებლობდნენ სოციალიზმის მტრები. ასეთ მდგომარეობას ვეღარ შეუერიგდებოდით. უნდა დაგეცვათ როგორც თვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესები. და ეს გააკეთა თქვენმა მთავრობამ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს სრული მხარდაჭერით.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტურ სახელმწიფოთა განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დაცვის ღონისძიებათა განხორციელება დასავლეთ ბერლინის საზღვარზე გარკვეულ უხერხულობას შეუქმნის ქალაქის მოსახლეობას. ამაში კი ბრალი მიუძღვით იმათ, ვინც დასავლეთ ბერლინში შექმნა ცენტრი დანაშაულებრივი ძირგამომთხრელი საქმიანობისა თქვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, ვინც ბოროტად იყენებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კეთილ ნებას .

მომხდარ ცვლილებათა მნიშვნელობა შეიძლება ცხადვყოთ თუნდაც ასეთი მაგალითით — ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჰკითხა საბჭოთა ჟურნალისტს: თქვენ 13 აგვისტოს თითქოს მიიღეთ ყველაფერი, რის მიღებაც გინდოდათ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებით? საბჭოთა ჟურნალისტმა უპასუხა: არა, საზავო ხელშეკრულება არ დადებულა, მაშასადამე, საქმის ვითარება მთლად ასე როდიაო.

მაშინ ამერიკელმა თქვა: სწორია, საზავო ხელშეკრულება ჯერ არ დადებულა, მაგრამ მიზანს, რომელსაც ისახავდით, როცა მის დადებას მოითხოვდით, თითქმის მთლიანად მიაღწიეთ. თქვენ დახურეთ საზღვარი, დაუზშეთ დასავლეთს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესასვლელი გზა. ამრიგად, საზავო ხელშეკრულება ჯერ არ დაგიდვიათ, მაგრამ მიიღეთ ის, რასაც ესწრაფოდით და რის მიღებაც გინდოდათ ამ ხელშეკრულების დადებით.

და როცა მიაღწიეთ იმას, რაც გინდოდათ, განაგრძო ამერიკელმა ჟურნალისტმა, თქვენ ამასთან შესაძლებლობა მიიღეთ შეხებოდით დასავლეთის მტკივან ადგილს. ასეთი ადგილია დასავლეთ ბერლინში შესასვლელი გზა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის. სანამ არ არის რამდენადმე მტკიცე საერთაშორისო ვალდებულებანი, რომლებიც შესასვლელ გზას აწესრიგებენ, ეს გზა საერთოდ დამოკიდებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაზე და მას ყოველთვის შეუძლია, თუ მოისურვებს, გააძლიეროს ან შეანელოს ზეგავლენა.

აქ ყველაფერი ზუსტი როდია, მაგრამ ამერიკელი ჟურნალისტი რამდენადმე უახლოვდება ჭეშმარიტებას. ჩვენმა მოკავშირემ და მეგობარმა — გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ — მიიღო ის, რაც აუცილებელია თვითეული სუვერენული სახელმწიფოსათვის — უფლება კონტროლი გაუწიოს თავის საზღვრებს და განახორციელოს ღონისძიებანი იმათ წინააღმდეგ, ვინც ეცდება შეასუსტოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური წყობილება. ეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სოციალისტური ქვეყნის დიდი საერთო მონაპოვარია და ახლა, თუ საკითხს განვიხილავთ სოციალისტური ქვეყნების უშუალო ინტერესების თვალსაზრისით, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების პრობლემა მართლაც არ დგას ისე, როგორც იდგა, სანამ მიიღებდით დაცვის ღონისძიებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის საზღვარზე.

აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალისტურ ქვეყნებში, ქვეყნებში, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ, შენელდა ინტერესი საზავო ხელშეკრულების დადებისადმი. არა, ინტერესი არ შენელებულა, პირიქით, ამ საკითხს ახლაც ყველაზე საჭირბოროტო მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებისათვის, არამედ იმ ქვეყნების ხალხებისთვისაც, რომლებიც ესწრაფვიან ცივი ომის ლიკვიდაციასა და მშვიდობის უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში.

გერმანიის საზავო ხელშეკრულება როდი მოუტანს მოგებას ერთ მხარეს ან ზარალს — მეორეს. არც ახლა, არც წინათ ჩვენ არ დაგვიყენებია საკითხი, რომ ჩვენს სასარგებლოდ გადაგვესინჯა არსებული საზღვრები ევროპაში, ან რაიმე სხვა შეძენის საკითხი. საბჭოთა კავშირის წინადადებაა დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც აღმოფხვრის მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, მოახდენს იმ ცვლილებათა ფიქსაციას, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ მოხდა. ასეთ მოწესრიგებას, რომელიც ბოლოს მოუღებდა რევანშისტთა პრეტენზიებს და ომისშემდგომი მშვიდობის ხურიდიული საფუძველი გახდებოდა ევროპაში, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მოწესრიგებით ერთნაირად არიან დაინტერესებული როგორც საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალიზმის სხვა ქვეყნები, აგრეთვე ნეიტრალისტური სახელმწიფოები, ისე იმპერიალისტური ბანაკის მონაწილენიც, ესე იგი კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ, თუ კი ისინი ადგანან მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებს, თუ არა სურთ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება.

დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს ძლიერ ვაზვიადებდეთ იმას, რომ მშვიდობას საფრთხეს უქმნიან გერმანელი რევანშისტები და მილიტარისტები.

მაგრამ ამ პოლიტიკოსებს ერთობ ცუდი მხედველობა და მეხსიერება აქვთ. რევანშისტული აღვირახსნილობით აღსავსეა დასავლეთ გერმანიის მთელი პოლიტიკური ცხოვრება. ისევე როგორც ჰიტლერის დროს, დასავლეთ გერმანიაში გამოდის უამრავი წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რომლებშიც დასაბუთებულია დასავლეთ გერმანიის პრეტენზიები სხვათა ტერიტორიებზე. ამას გაჰყვარის აგრეთვე განუწყვეტლივ დასავლეთ გერმანიის რადიო. ბუნდესვერის გენერლები წვრთნის დროს აზუსტებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ შეტევითი მოქმედების გეგმებს. მათ თავიანთ რუკებზე აღნიშნეს კიდევაც ქალაქები და სხვა სამიზნეები, რომლებსაც, თურმე, უპირებენ მიაყენონ ატომური დარტყმები, მათ მხოლოდ ატომური იარაღი აკლიათ. ამიტომაც ცდილობენ ხელთ იგდონ იგი. უგუნურები! მათ არ სურთ გაიგონ, რომ, ომი თუ დაიწყო, დასავლეთი გერმანია სანთელივით დაიწვება ომის პირველსავე საათში.

თვით დასავლეთ გერმანიაშიც იზრდებიან ძალები, რომლებსაც არა სურთ შეურიგდნენ ახალი ომის მომზადების დამღუპველ პოლიტიკას და სულ უფრო აქტიურად ირაზმებიან ამ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასი და სხვა დემოკრატიული ძალები სამართლიანად ამბობენ, რომ გერმანიას შეუძლია დაადგეს და კიდევაც უნდა დაადგეს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზას და არა ახალი სისხლიანი ომის გზას. ამასთანავე ახლა ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგ ამზადებენ ომს გერმანელი რევანშისტები, განუზომლად უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ოცი წლის წინათ იყვნენ.

გვინდა გვჯეროდეს, რომ მუშათა კლასი, რომელსაც უზარმაზარი ადგილი უჭირავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობაში, იპოვნის ძალებს და უზრუნველყოფს შეკავშირებას, რათა საკადრისი პასუხი გასცეს ჰიტლერელ ნაბოლარებს და არ დაუშვას მისი უგუნური პოლიტიკის გამეორება.

ჩვენ მივესალმებით დასავლეთ გერმანიის კომუნისტების გმირულ ბრძოლას, მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც თავდადებით იცავენ გერმანელი ხალხის ნამდვილ ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის სამართლიან საქმეს.

საზავო ხელშეკრულების დადება — ეს არის გზა, რომ გაჯანსაღდეს ატმოსფერო ევროპაში, აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, შეიქმნას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უფრო მტკიცე საფუძველი. იგი შესაძლებელს გახდის აღიკვეთოს ან გაიჭრას ნასკვი, რომელიც ხელს უშლის სხვა საკითხების გადაჭრას. ამიტომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების ინტერესები, ჩვენთან ერთად იბრძოლებს გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

აიღეთ ისეთი ძირეული საკითხი, როგორიც განიარაღებაა. სანამ არ დაიდება გერმანიის საზავო ხელშეკრულება, როგორც ჩანს, ძნელია ვიქონიოთ იმედი, რომ მიღწეულ იქნება სერიოზული პროგრესი განიარაღების შესახებ შეთანხმების საქმეში. ეს ორი საკითხი იურიდიულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს დამოუკიდებელი საკითხებია. მაგრამ განიარაღება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ატმოსფეროს გაწმენდის პირობებში, ესე იგი როცა განმტკიცდება ნდობა სახელმწიფოთა შორის, შეიქმნება ისეთი პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სულ ახალ და ახალ ასიგნობებს შეიარაღებისათვის და არმიათა გადიდებას. და სწორედ გერმანიის საკითხის გადაუჭრელობა იწვევს შეიარაღებული ძალების ზრდასა და სამხედრო ხარჯების გადიდებას

ერთი სიტყვით, გერმანიის საკითხი ისეთი საკითხია, რომელიც ზრდის დაძაბულობას და აძლიერებს ორი სამყაროს — სოციალიზმის სამყაროსა და იმპერიალიზმის სამყაროს შეჯახების საფრთხეს. ის, რომ არ არის გერმანიის საზავო ხელშეკრულება, დიდ ზიანს აყენებს ყველა ხალხს, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების ხალხებს. ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყნების ხალხებს მშვიდობა უნდათ. მათ უნდა აღიმაღლონ თავიანთი ხმა, გამოიჩინონ სიმამაცე და აიძულონ თავიანთი მთავრობები დაადგნენ მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის გზას სახელმწიფოებს შორის, ხალხებს შორის მეტი ნდობის შექმნის ინტერესებისათვის და ამ საფუძველზე მოამზადონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების შესახებ შეთანხმების პირობები.

დასავლეთი ბერლინი არ ესაჭიროებათ სოციალისტურ ქვეყნებს. ისინი იძულებულ წავლენ უარისაღ. იგი არ სჭირდებათ არც დასავლეთის სახელმწიფოებს. დასავლეთი ბერლინი შეიძლება გახდეს მშვიდობის ხიდი, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ნიმუში. მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად იმეორებენ, რომ ვალდებულება იკისრეს დაიცვან დასავლეთ ბერლინის „თავისუფლება“. ეს აშკარად ხელოვნური ფორმულა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ფორმულით იფარება მხოლოდ ერთი რამ — სურვილი რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ საერთაშორისო დაძაბულობა და ეს, როგორც ფოკუსში, თავს იყრის დასავლეთ ბერლინის ახლანდელ არანორმალურ მდგომარეობაში.

ამიტომ, თუ ზოგიერთ სახელმწიფოს სურს განაგრძოს არსებული დაძაბულობა, გამალებული შეიარაღება და, მაშასადამე, შეინარჩუნოს მერყევი, მძიმე გაურკვეველი მდგომარეობა, რაც ყოველ მომენტში შეიძლება დამთავრდეს საომარი შეტაკებით, მაშინ ეს სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, კვლავაც გაუწევენ წინააღმდეგობას საზავო ხელშეკრულების ქვეყნების წინადადებებს გერმანიის საკითხის შესახებ, თუმცა ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღწევისათვის.

სოციალისტური ქვეყნები თანახმა არიან, რომ საზავო ხელშეკრულება დაიდოს ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან ან ერთ მათგანთან. ისინი წინადადებას აყენებენ მიენიჭოს დასავლეთ ბერლინს მშვიდობიანი მოწესრიგების პირობებში თავისუფალი ქალაქის სტატუსი. სოციალისტური ქვეყნები მზად არიან მისცენ ამ თავისუფალ ქალაქს მის საქმეებში ჩაურევლობის ყველაზე საიმედო გარანტიები, იმის გარანტიები, რომ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობამ თავისუფლად აირჩიოს ის სოციალურ - პოლიტიკური წყობილება, რომელიც ყველაზე მეტად აძლევს ხელს. ამ გარანტიების თავდები უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. როგორც უკვე ითქვა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სსრ კავშირი და მათი სოციალისტური მოკავშირეები იმის თანახმაც კი არიან რომ დასავლეთ ბერლინში გარკვეული დროის მანძილზე იყონ უცხოელთა ჯარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

კიდევ რაღაა საჭირო, კიდევ რა გონივრული გარანტიები უნდა მოვიფიქროთ, რომ ეს გარანტიები იყოს ისეთი, რომ აკმაყოფილებდეს ერთსა და მეორე მხარეს? და ისინი, ვინც არ იღებს ჩვენს წინადადებებს გარანტიების შესახებ, ამას იმიტომ კი არ შვრებიან, რომ საკმაოდ არ მიაჩნიათ ეს გარანტიები, არამედ იმიტომ, რომ არა სურთ შეასუსტონ დაძაბულობის კვანძი, როგორიც გახდა დასავლეთი ბერლინი, ცდილობენ რაც შეიძლება მეტ ხანს დატოვონ ამ ქალაქში ნატოს სამხედრო ბაზა, შეინარჩუნონ იგი როგორც ცენტრი საშიში საერთაშორისო პროვოკაციებისა და ევროპის და მთელი მსოფლიოს კითარების გამწვავებისა.

აი საკითხები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, და რომლებიც, დარწმუნებული ვართ, გადაიჭრება ახლო მომავალში. მაგრამ როგორ გადაიჭრება ეს საკითხები, დამოკიდებულია არა მარტო ერთ მხარეზე. თუ არის ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის სურვილი, მაშინ ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს კეთილგონიერება და მზადყოფნა, რომ გაითვალისწინებენ ერთიმეორის საარსებო ინტერესებს. დასავლეთის პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ იმ ჭეშმარიტებებიდან, რომელიც გვიჩვენა კარიბის ზღვის რაიონის კრიზისმა, — არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ, თუ მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი ერთ კრიზისს, შეიძლება ავტომატურად დავაღწიოთ თავი მეორე საშიშ კრიზისსაც. იმისათვის, რომ აღარ იყოს ომის საფრთხე, საჭიროა აღვკვეთოთ შესაძლო საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზები.

ამხანაგებო! ახლა უკვე ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგეც კი იძულებულია აღიაროს, რომ წლითწლობით, ნაბიჯნაბიჯ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო მეტად იცვლება სოციალისტური ქვეყნების სასარგებლოდ და იმპერიალისტური ბანაკის საზიანოდ. მეორე მსოფლიო ომამდე იმპერიალიზმს ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით აშკარა უპირატესობა ჰქონდა სოციალიზმთან შედარებით. უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გარკვეული დროის განმავლობაში იმპერიალისტურ ბანაკს თავისი იარაღი სოციალისტურ ქვეყნებზე უფრო ძლიერად მიჰქონდა. ამერიკელ იმპერიალისტებმა ტაბეთოდნენ თავიანთი მონოპოლიური ტაბეთოდნენ ატომური იარაღის ფლობაში და ცდილობდნენ მბრძანებლობას და თავს ახვევდნენ მთელ მსოფლიოს თავიანთ პოლიტიკას. ისინი ახორციელებდნენ აშკარა აგრესიულ, შეტევითს კურსს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ მაშინ იშვა კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყბადაღებული ტაქტიკა, რომელიც ჩამოყალიბა დალესმა: „კომუნიზმის უკუგდების“, „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლების“ პოლიტიკა, „ომის ზღვარზე“ ბალანსირების პოლიტიკა.

თქვენ იცით, რომ ამ პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა, ამასთან ვერ მოუხვეჭა მის გამომგონებლებს ვერც ღირსება, ვერც სახელი. იმპერიალისტებმა ვერა თუ ვერ შეძლეს კომუნიზმის „უკუგდება“, მისი ძლიერების შესუსტება, არამედ პირიქით, ისინი თვითონ სულ უფრო მეტად კარგავდნენ თავიანთ პოზიციებს მსოფლიოში. ომისშემდგომ პერიოდში ათობით ქვეყანამ დააღწია თავი იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის უღელს და დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

იმპერიალიზმის სისუსტის ზრდას მოწმობს ის

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(გაგრძელება)

რებით მიდის ზრდისა და პროგრესის გზით, ვინც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, მას არ სჭირდება ომი, იგი უალრესად დაინტერესებულია მშვიდობით. ჩვენ კი, ამხანაგებო, არა გვაქვს საფუძველი პესიმიზმისათვის.

პოლიტიკურ მოღვაწეებს, სახელმწიფო მოღვაწეებს არა აქვთ უფლება დაივიწყონ თავიანთი პასუხისმგებლობა ხალხების წინაშე. ჩვენ წილად გვხვდა პატივი პირველებს აგვემართა მსოფლიოში სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა. საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური თანამეგობრობა უპირისპირდება ახლა კაპიტალისტურ სამყაროს, როგორც გრანიტის ფრიალო კლდე, და ყველა შტორმი იმსხვრევა მის ურყევ საძირკველზე. ჩვენ, კომუნისტებს, მოწინავე იდეებისა და რწმენის ადამიანებს არ შეგვფერის ვეწეოდეთ ავანტიურიზმს და ამრიგად საშუალება მივცეთ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, რომლებიც კარგავენ თავიანთი წყობილების გამარჯვების რწმენას, ატეხონ მსოფლიო ომი. ეს არ არის, ვიმეორებ, ამხანაგებო, გონების გამოვლინება, ეს არ არის გმირობა. ეს არის მუშათა კლასის ძალების, სოციალიზმის ძალის რწმენის უქონლობა.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა მოგველის სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის. წლითიწლობით ვაფართოვებთ და განვამტკიცებთ ჩვენი საერთო სახლის საძირკველს. იგი სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს. ახლა უკვე იმპერიალისტური ბანაკი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ჩვენს ძალებს, იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმას, რომ ვითარდება და ძალებს იკრებს მისი უდიდებულესობა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი და მისი ავანგარდი—სოციალისტური ქვეყნების მუშათა კლასი.

ეს ძალები გაზრდიან და დაარჩარებენ თავიანთ წინსვლას, სანამ არ მიაღწევენ კომუნიზმის იდეების სრულ გამარჯვებას, სანამ ყველგან მსოფლიოში არ გაიმარჯვებს ბედნიერება და აყვავება, სანამ ჩვენი წითელი დროშა არ აფრიალდება მთელ დედამიწაზე.

ასეთი დრო დადგება, ამხანაგებო, ჩვენ მტკიცედ გვწამს ეს!

სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკა იზრდება და მტკიცდება, ამასთან შორს უსწრებს თავისი ტემპით კაპიტალისტურ სამყაროს. სოციალისტური ქვეყნების მრეწველობის პროდუქციამ მიაღწია ეკონომიურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის პროდუქციის 64 პროცენტს. სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ თქვენი რესპუბლიკის მშრომელებს, სახალხო პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ყველა სოციალისტური ქვეყნის მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას.

მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა ახალი თანაფარდობა ნაყოფიერ გავლენას ახდენს იმ სახელმწიფოთა მდგომარეობაზეც, რომლებმაც მხოლოდ ახლახან მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა.

წინათ ამერიკის იმპერიალიზმი ანგარიშს არ უწევდა განთავისუფლებული ქვეყნების ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. ახლა ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო ხშირად იძულებული არიან აღიარონ, რომ დასაშვებიც და კანონიერიც არის აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების ნეიტრალური პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა იმპერიალიზმის პოლიტიკის ასეთი ცვლილებანი იმის შედეგად მიგვეჩნია, რომ დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეები უფრო განათლებული და პროგრესული გახდნენ. არა, საქმე ასე როდია. სურთ თუ არა იმპერიალისტებს, ძალაუნებურად უნდა გაუწიონ ანგარიში სინამდვილეს. სხვა გამოსავალი მათ არა აქვთ. თავიანთი პოლიტიკის შემუშავების დროს ისინი იძულებული არიან გაითვალისწინონ სოციალისტური ქვეყნების მზარდი ძალა, მათი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შრომელთა მასების ბრძოლის გაძლიერება კაპიტალიზმის ქვეყნებში მონოპოლიათა წინააღმდეგ. ყოველივე ეს ასუსტებს იმპერიალიზმის პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე.

რა თქმა უნდა, იმპერიალისტები კვლავ განიზრახავენ შეიტყუონ თავიანთი აგრესიული პოლიტიკის ქსელში ესა თუ ის ნეიტრალური სახელმწიფო, ჩაითრიონ იგი თავიანთ სამხედრო ბლოკებში. ისინი დიდ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ ძირი გამოუთხარონ სამხედრო კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, რომელსაც ემხრობიან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, და ცდილობენ ააცდინონ ისინი სწორ გზას, დაამახინჯონ ადამიანთა საზოგადოების განვითარების იმ პროცესების აზრი და არსი, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობენ.

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე ყოველთვის სწორად როდი აფასებს თანამედროვეობის ამა თუ იმ მოვლენას. ამ მოვლენათა სწორი აღქმა და გაგება კი ძალიან საჭიროა, რათა განისაზღვროს ამ ქვეყნების პოლიტიკა მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ჯერ ერთი, ეს ვლინდება სამხედრო ბლოკების საკითხში, რომლებიც ჩვენს დროში მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მიზნებითა და ბუნებით. ზოგიერთი იმ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც თავიანთ თავს მიუმხრობელს უწოდებენ და დგანან ნეიტრალისტური პოლიტიკის განხორციელების პოზიციებზე, ამა თუ იმ მიზეზთა სწორად არ განსაზღვრავენ შექმნილი სამხედრო ბლოკების არსსა და ხასიათს და ტოლობის ნიშანს სვამენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკებსა, როგორიც არის, მაგალითად, ნატო, სენტო და სეატო და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვითს გაერთიანებას შორის.

იმპერიალისტთა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებანი და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ. რა მიზნით შექმნეს სამხედრო ხასიათის ბლოკები იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა? იმპერიალისტებს სურთ შეინარჩუნონ დარჩენილ კოლონიურ ხალხთა ექსპლოატაციის პირობები. იმ ხალხთა მიმართ, რომლებიც კოლონიური უღლისაგან განთავისუფლდნენ, მათ სურთ გაახორციელონ ძალის პოზიციის პოლიტიკა, თავს მოახვიონ თავიანთი პირობები და მოახდინონ ზეგავლენა მათს შინაგან განვითარებაზე, რათა აიძულონ ისინი იარონ კაპიტალისტური გზით. ამისათვის ისინი ახორციელებენ პოლიტიკური და ეკონომიური ზეგავლენის ყოველგვარ საშუალებებს, ზოგჯერ კი აშკარად მიმართავენ სამხედრო ჩარევას, როგორც, მაგალითად, სამხრეთ კორეაში, სამხრეთ ვიეტნამში, კონგოში. ამერიკელი იმპერიალისტები ომით ემუქრებიან კუბასა და სხვა ქვეყნებს.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ სამხედრო დაჯგუფებანი, რომლებსაც იმპერიალისტური ქვეყნები ქმნიან, თავიანთი მახვილით მიმართული არიან სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კაპიტალისტური ქვეყნების შრომელთა ინტერესების, მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ, ეს კავშირები წარმოშობილია იმპერიალისტურ ნიადაგზე და თვით იმპერიალიზმის ბუნების გამო აგრესიული ხასიათისა.

ყოველგვარი სამხედრო ბლოკების შექმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინიციატივაა, რომლის წინააღმდეგ ყოველთვის ილაშქრებდნენ და ილაშქრებენ სოციალისტური ქვეყნები. შეიძლება თქვან: ეს როგორ, თქვენ იბრძვით სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციისათვის, მაშინ როცა არსებობს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელშიც შედიან ევროპაში განლაგებული სოციალისტური ქვეყნები? მაგრამ ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ და რატომ წარმოიშვა ეს ორგანიზაცია. იგი შეიქმნა ნატოს სამხედრო ბლოკის გაჩენის შემდეგ, ბლოკისა, რომელიც მიმართულია სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. სოციალისტურ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ გვერდი აევლოთ მათი უშიშროებისათვის შექმნილი ამკარა საფრთხისათვის და იძულებული გახდნენ შეექმნათ თავიანთი სამხედრო ორგანიზაცია, გაეერთიანებინათ თავიანთი ეკონომიური და სამხედრო ძალები მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრების დასაცავად.

სოციალისტური ქვეყნების სამხედრო ორგანიზაცია შექმნილია არა სხვა ქვეყნებზე თავდასხმისათვის, არა აგრესიისათვის, არამედ ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი მხრივ ეს იძულებითი ღონისძიება იყო. უნდა მოგაგონოთ, რომ, როგორც კი შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, სოციალისტურმა ქვეყნებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ისინი უწინდებურად მოითხოვენ ყველა სამხედრო ბლოკის დაშლას და მზად არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაცია, თუ იმპერიალისტური ქვეყნები დათანხმდებიან თავიანთ სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციაზე. ჩვენ არაერთხელ გაგვიმეორებია ეს, და ახლაც ამავე პოზიციებზე ვართ.

ასეთი მდგომარეობაა იმპერიალისტთა სამხედრო ბლოკებისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის არსისა და ხასიათის მხრივ, ასეთია პრინციპული განსხვავება მათ შორის.

ახლა ამ საკითხის მეორე მხარის შესახებ. კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე შეგნებულად თუ შეუგნებლად იჩენს იმის არასწორ გაგებას, თუ სად, რა ზღვარზე გადის წყალგამყოფი თანამედროვე მსოფლიოში. ისინი მსოფლიოს ჰყოფენ ორ სამხედრო ბლოკად, ერთ ბლოკს აკუთვნებენ იმპერიალისტურ ქვეყნებს და მათს სამხედრო კავშირებს — ნატოს, სენტოს, სეატოს, მეორეს კი — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს. მაგრამ განა ჩვენს ეპოქაში მსოფლიოს წყალგამყოფი მარტოოდენ სამხედრო დაჯგუფებებს შორის არის აღმართული? რასაკვირველია, არა. საქმეს მარტოოდენ წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც რომ შევეხედოთ, ადვილად დავინახავთ, რომ კაპიტალიზმის სამყაროში ყველა სახელმწიფო როდი შედის სამხედრო პაქტებში. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაც მარტოოდენ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს აერთიანებს. მსოფლიოში არსებობს ორი დაპირისპირებული სისტემა — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემები. სამხედრო ბლოკებსა და სისტემებს შორის კი არ შეიძლება დაისვას ტოლობის ნიშანი. გაყოფა მარტოოდენ სამხედრო ორგანიზაციების, სამხედრო ბლოკებისა და ამ ბლოკებისადმი ქვეყნების კუთვნილების პრინციპით როდი წარმოებს.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ თანამედროვე მსოფლიოს ზუსტი სურათი, საჭიროა ვხედავდეთ წყალგამყოფს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პრინციპით. ერთი მხრივ, არსებობენ კაპიტალისტური, იმპერიალისტური ქვეყნები, რომლებმაც შეინარჩუნეს და ჯერჯერობით ინარჩუნებენ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ძველ საზოგადოებრივ წყობილებას. ამ ქვეყნებს სათავეში უდგანან მონოპოლისტები, რომლებსაც სურთ იხსნან დაღუპვისაგან და უკვდავყონ ექსპლოატატორული წყობილება. მეორე მხრივ, მტკიცდებიან და ვითარდებიან ქვეყნები, რომლებშიც მშრომელებმა დაამხეს კაპიტალიზმი, მოსპეს მისი ბატონობა და ექსპლოატაცია, დაამყარეს ხალხის ხელისუფლება და მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით. ამ ქვეყნების რიცხვი გაიზრდება. კაპიტალისტური სამყარო კი შემცირდება.

ამრიგად, საქმე ეხება არა სამხედრო ბლოკებს, არამედ ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემას. სამხედრო კავშირები, ბლოკები, პაქტები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პრაქტიკული პოლიტიკის შედეგია, რომლებსაც ისინი მიაჩნიათ საშუალებად, რათა დაიცვან თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები, ჩაახშონ მშრომელთა ბრძოლა, მოამზადონ და წამოიწყონ სამხედრო კონფლიქტები. სამხედრო კავშირები, ბლოკები და პაქტები საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გზით იბადებიან. ახალი საზოგადოებრივი სისტემის გაჩენა სულაც არ არის ამა თუ იმ პირის თვითნებური საქმიანობის შედეგი, რაიმე საერთაშორისო შეთანხმების შედეგი. ეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონია, საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა — საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა შედეგია.

ბევრ ქვეყანას, რომლებიც ამას წინათ განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან, სურს დაადგეს სოციალიზმის გზას. ამავე დროს ზოგიერთი ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწენი ამბობენ, რომ განზრახული აქვთ მანევრობა ორ სამხედრო ბლოკს შორის, რადგანაც ერთმანეთში ურევენ ცნებებს „ბლოკები“ და „სისტემები“. ასეთ აღრევას სარგებლობა როდი მოაქვს მუშათა კლასისა და ხალხებისათვის, რომლებიც კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლდნენ. ასეთი აღრევა წამლავს განთავისუფლებულ ხალხთა შეგნებას, უადვილებს კოლონიზატორებს იმის შესაძლებლობას, რომ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები ახალგაზრდა დამოუკიდებელ ქვეყნებში.

მეტი წილი ყოფილი კოლონიური ქვეყნები განთავისუფლდნენ, მოიპოვეს დამოუკიდებლობა. მაგრამ ბევრ ქვეყანაში ეს ჯერ კიდევ ნომინალური დამოუკიდებლობაა. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ კოლონიზატორებმა ბევრ ამ სახელმწიფოში დატოვეს თავიანთი ადმინისტრაცია, თავიანთი ადამიანები, თავიანთი კაპიტალები. ისინი ვერ შეურიგდნენ ხალხთა განთავისუფლებას და ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ შეინარჩუნონ იმის შესაძლებლობა, რომ კვლავაც გაუწიონ ექსპლოატაცია ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს, გამოიყენონ მათი ეკონომიური ჩამორჩენილობა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ყველა სოციალისტურ ქვეყანას, ისინი ყოველმხრივ ეხმარებოდნენ და კვლავაც დაეხმარებიან ყოფილ კოლონიათა ხალხებს მათი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ყველა ხალხს, რომლებიც დაადგნენ სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციისათვის სამართლიანი ბრძოლის გზას. ეს დახმარება გაიზრდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების გადიდების კვალობაზე.

მარტოოდენ ჩვენ როდი ვამბობთ, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ. არსებითად ამას აღიარებენ ჩვენი მტრებიც, როცა ლაპარაკობენ „შიშის წონასწორობაზე“. ჩვენ არ ვემხრობით „შიშის წონასწორობის“ დოქტრინას, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მტრების ასეთ დასკვნებს. ეს დასკვნები სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები აღიარებენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების ზრდას. მათი ლაპარაკი „წონასწორობაზე“ ეს უკვე „კომუნიზმის უკუდგომის“ თეზისი როდია და სხვ. ჩვენ არა მარტო ვაცხადებთ, არამედ კარგადაც ვიცით, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის ძალები იმპერიალიზმის ძალებზე უფრო მძლავრია.

მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების მზარდი გავლენა, ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა კარიბის ზღვის რაიონში წარმოქმნილი კრიზისის პერიოდში.

ცნობილია, რომ ამერიკის იმპერიალიზმმა 1961 წელს განახორციელა კუბელ კონტრრევოლუციონერთა შეჭრა კუბაში. მან აშკარად ვერ შეაფასა ჯეროვნად კუბელი ხალხის წინააღმდეგობის ძალა, კუბის რევოლუციის ძალა და მარცხი განიცადა. ამზადებდა რა ახალ შეჭრას კუბაში, ამერიკის იმპერიალიზმი უკვე არ კმაყოფილდებოდა კუბელ კონტრრევოლუციონერთა გამოყენებით, რომლებსაც ახლაც უჭერენ მხარს, აძლევენ ფულსა და იარაღს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს აემოქმედებინათ საკუთარი შეიარაღებული ძალები.

მაგრამ უკვე სავსებით ძოძაღებული თავდასხმა ჩაიფუშა. კუბელი ხალხის ღონისძიებათა, საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების, აგრეთვე სხვა დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ძალების ღონისძიებათა მეოხებით ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ძალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და საჯაროდ განეცხადებინათ, უარს ვამბობთ კუბაში შეჭრაზეო.

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კარიბის კონფლიქტში კუბამ და საბჭოთა კავშირმა მარცხი განიცადეს. მაგრამ ასეთ ადამიანებს საოცარი ლოგიკა აქვთ: ეს როგორ, რევოლუციური კუბა არსებობს და მტკიცდება, და ჩვენ განვიცადეთ მარცხი? სინამდვილეში ვინ დაიხია უკან და ვინ მოიგო ამ კონფლიქტში? მოდით, ერთხელ კიდევ გავერკვეთ, თუ რა მიზნებს ისახავდა თვითეული მხარე.

კუბელმა ხალხმა, რევოლუცია რომ მოახდინა, მიზნად დაისახა სოციალიზმის მშენებლობა კუბაში. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა განაცხადეს, რომ ვერ შეურიგდებიან სოციალისტური ქვეყნის არსებობას დასავლეთ ნახევარსფეროში და ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ დაემხოთ კუბის რევოლუციური მთავრობა, აღედგინათ ამერიკის მონოპოლიათა ძალაუფლება. აი ასე იდგა საკითხი.

ჩვენ გვესმოდა, რომ თუ არ მივიღებდით რაიმე საგანგებო ღონისძიებას, რომელიც შეაჩერებდა ამერიკის იმპერიალიზმს, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები განახორციელებდნენ აგრესიას კუბელი ხალხის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობამ და კუბის მთავრობამ მოიფიქრეს, თუ რა უნდა განეხორციელებინათ, აწონ-დაწონეს სხვადასხვა ვარიანტი. ჩვენ გვინდოდა გვეგრძნობინებინა ამერიკის იმპერიალიზმისათვის, რომ, თუ იგი გადაწყვეტს განახორციელოს აგრესიული თავდასხმა კუბაზე, მან უნდა გაითვალისწინოს იმის შესაძლებლობა, რომ მიიღებს საპასუხო ფრმომატომურ დარტყმას. ჩვენ მიერ მიღებულმა ამ იძულებითმა ღონისძიებამ თავზარი დასცა იმპერიალისტებს. მაგრამ მხოლოდ ასეთ ღონისძიებას შეეძლო გამოეწვია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს უფრო ფხიზლად შეეფასებინათ რეალური სინამდვილე.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავის წერილში საბჭოთა მთავრობისადმი მთელი მსოფლიოს წინაშე იკისრა ვალდებულება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ შეიჭრებიან კუბაში და არ მისცემენ ამის საშუალებას თავიანთ მოკავშირეებს. ამით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფაქტიურად იძულებული გახდა ხელი აეღო შეიარაღებულ ინტერვენციაზე კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ეს იყო იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეების პოლიტიკის მარცხი და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გამარჯვება, იმ პოლიტიკის გამარჯვება, რომლის მიზანია კონტრრევოლუციის ექსპორტის თავიდან აცილება.

ჩვენ გვეუბნებიან: თუ გაიტანეთ რაკეტები კუბიდან, მაშასადამე, უკან დაიხიეთო. მაგრამ ასე მხოლოდ ის ადამიანები მსჯელობენ, რომლებსაც არ ესმით პოლიტიკური ბრძოლის მთელი სირთულე ჩვენს დროში, ბრძოლისა, რომელიც მოითხოვს მოქნილობას, მანევრობის უნარს. დიახ, ეს იყო ჩვენი დათმობა მეორე მხარის დათმობის პასუხად, ეს იყო ურთიერთდათმობა. იმპერიალისტები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ დათმობაზე და ხელი აეღოთ კუბაში შეჭრაზე. ჩვენ კი სწორედ იმიტომ ვდგამდით ჩვენს რაკეტებს, რომ დაგვეცვა კუბა იმპერიალისტთა შეჭრისაგან. მაშასადამე, ჩვენმა რაკეტებმა შეასრულეს თავიანთი როლი.

რასაკვირველია, ამერიკელ იმპერიალისტებს, ისევე როგორც მთელ იმპერიალისტურ ბანაკს, ხელი არ აუღიათ იმ აზრზე, რომ იბრძოლონ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათ შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა საშუალება, როგორც პირდაპირი შეიარაღებული მოქმედება, ისევე სხვა მეთოდებიც. ეკონომიური შეჯიბრება — ესეც ბრძოლის საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ერთ სისტემას სურს დაამარცხოს მეორე.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი არ აუღიათ იმ განზრახვაზე, რომ მოსპონ სოციალისტური მონაპოვრები კუბაში. მაგრამ საქმის არსი ის არის, რომ ჩვენ კუბასთან ერთად ვაიძულეთ ამერიკის შეერთებული შტატები განეცხადებინათ, ხელს ვიღებთ კუბაში შეიარაღებულ შეჭრაზეო.

ბრძოლა სოციალიზმის გზაზე დამდგარი ქვეყნების განმტკიცებისათვის ხანგრძლივი პროცესია. იგი მანამ გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი სისტემა არ მოიპოვებს საბოლოო გამარჯვებას, საბოლოო გამარჯვება კი კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციაა;

თუ გავითვალისწინებთ იმათ პოზიციებს, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენ რაკეტები იმისათვის დავდგით კუბაში, რომ გაგვეხორციელებინა თერმოატომური თავდასხმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ამით დაგვეწყო მსოფლიო თერმოატომური ომი, შემდეგ კი ხელი ავიღეთ ამ მიზანზე და გამოვიტანეთ რაკეტები კუბიდან, მაშინ შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩვენ დავიხიეთ ჩვენივე მიზნიდან. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირს სულაც არ ისახავდა ასეთ მიზანს. ჩვენ რაკეტები კუბაში ერთადერთი მიზნით დავდგით — შეგვეჩერებინა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესია კუბის წინააღმდეგ.

შეიძლება თქვან, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ყველაზე აღვირახსნილი წრეების ზეგავლენით არ შეასრულებენ თავიანთ დაპირებას და კვლავ მიმართავენ თავიანთ იარაღს კუბის წინააღმდეგ. მაგრამ ის ძალები, რომლებმაც დაიცვეს კუბა, ხომ არსებობენ და დღითი დღე სულ უფრო მძლავრი ხდებიან. საქმე მარტოოდენ ის როდი არის, თუ სად იქნება რაკეტები — კუბაში თუ სხვა ადგილას. სულ ერთია. ეს რაკეტები შეიძლება ასეთივე წარმატებით გამოვიყენოთ ყოველი აგრესიის წინააღმდეგ.

ვიმეორებ, როცა რაკეტებს ვდგამდით კუბაში, ჩვენ არ გვინდოდა მოგვეახლოებინა სოციალისტურ ქვეყნებსა და იმპერიალიზმს შორის ომის გაჩაღების დრო. ჩვენ ვისახავდით სხვა მიზანს — არ დაგვშვა იმპერიალისტთა შეჭრა კუბაში, არ დაგვშვა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. თუ ამ პოზიციებიდან შევაფასებთ მოვლენებს, ჩვენ მოვიგე თ. ეს არის მშვიდობის ძალების მოგება, სოციალიზმის ძალების, კომუნიზმის მშენებელი ძალების მოგება.

ზოგიერთი ადამიანი, მარქსისტად რომ მიაჩნია თავი, ამბობს, რომ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ის კი არ არის, რომ უწინარეს ყოვლისა გაიზარდოს სოციალისტური ქვეყნების — ამ რეალური საშუალების — ეკონომიური ძლიერება, რომელსაც ანგარიშს უწევენ ჩვენი მტრები, არამედ გამოვიგონოთ რაღაც ახალი და, ალბათ, ყველაზე იაფი წესი ასეთი ბრძოლისა. ეს წესი, თურმე, დამოკიდებული არ არის ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაზე, დამოკიდებული არ არის შეიარაღების ხარისხსა და რაოდენობაზე, იგი მხოლოდ ლანძღვით გამოიხატება. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ გაუთავებული წყევლა-კრულვა იმპერიალიზმის მისამართით — სწორედ ეს არის ის, რაც უწინარეს ყოვლისა დაეხმარება სოციალისტურ ქვეყნებს.

ასე იქცეოდნენ შამანები და ექიმბაშები. მხოლოდ ეს რომ იყოს საჭირო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რუსი ადამიანები, როგორც თქვენ იცით, ლანძღვაშიაც ძალიან ძლიერნი არიან. გერმანელებსაც აქვთ საგინებელი სიტყვები, მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენთან შეჯიბრებაში ამ ასპარეზზე რუსები გაიმარჯვებდნენ.

მაგრამ ლანძღვა-გინება ყველაზე ძლიერი საშუალება როდია მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი აინუნშიც არ მიიღება. ამიტომ იმპერიალიზმს უნდა ვებრძოლოთ არა ლანძღვა-გინების გზით, არამედ უნდა შევეჯიბროთ იმპერიალიზმს, კაპიტალიზმს ეკონომიურ საფუძველზე. ხოლო მტკიცე საფუძველი რომ გვქონდეს შეჯიბრებისათვის, უნდა განვავითაროთ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური პოტენციალი და გვქონდეს რეალური ძალები, ატომურ-რაკეტული ძალები, რომლებიც გააფრთხილებენ იმპერიალისტებს: შემოჰყოფ ცხვირს — თავს დაკარგავო! აი ეს იმპერიალისტებს ესმით.

ბავშვობისას მაღაროებში ვცხოვრობდი. იქ გახდებოდა ადამიანი ავად — მიდიოდა დედაბერთან, იგი ჩურჩულებს, და ავადმყოფს ეჩვენება, რომ შვება იგრძნო. ახლა ეს უმეცრებად ითვლება. რა თქმა უნდა, მაშინაც ეს უმეცრება იყო. მაგრამ მაშინ ბევრ ადამიანს სჯეროდა, მაგალითად, რომ უნდა წაიდეს და ისწავლოს რაღაც ჯადო სიტყვები, რათა შხამანმა გველმა არ უკბინოს, ამბობდნენ, ეს ეხმარებაო. მაგრამ მარტო სიბნელე, უმეცრება აძშვიდებდა ადამიანებს, უნერგავდა რწმენას, რომ ასეთი საშუალებები მოქმედებენ.

ასევეა ლანძღვა-გინებაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს; იგი აგინე, ის კი მდიდრდება, ექსპლოატაციას უწევს ხალხებს. ყოველი ელემენტარულად მცოდნე მარქსისტისათვის ცხადია, რომ რაც უნდა შეარყიო ჰაერი წყევლა-კრულვითა და ლანძღვა-გინებით, იმპერიალიზმი ამით არ დასუსტდება.

რასაკვირველია, იმპერიალისტთა ხრიკების მხილება საჭიროა. ეს რაზმავს მასებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ეხმარება მათ გაიგონ იმპერიალიზმის მხეცური არსი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმპერიალისტები ანგარიშს უწევენ მხოლოდ რეალურ ძალას. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მდგომ კომუნისტთა მოვალეობაა ყოველი ღონე იხმაროს, რათა ჩვენი ძალები განმტკიცდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ეკონომიკა და სოციალიზმის მუდმივად მზარდი ეკონომიური ძლიერების საფუძველზე გავაუმჯობესოთ ხალხთა კეთილდღეობა. ეს იქნება საუკეთესო მაგალითი ყველა მშრომელისათვის, ყველა ხალხისათვის, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან. ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად მტკიცდება აგრეთვე სოციალისტურ სახელმწიფოთა თავდაცვითი ძლიერება.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ შევეხო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს. უწინარეს ყოვლისა, მინდა ვილაპარაკო მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლისა და მუშათა კლასის, ქვეყნად სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა მშრომელის რევოლუციური ბრძოლის კავშირურთიერთობაზე.

ჩვენს დროში საქმის ვითარება ისეთია, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის გახდა სოციალიზმისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობა. მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არც ერთი პრობლემა არ შეიძლება მივიჩნიოთ ახლა მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლასთან კავშირის გარეშე. სწორედ ეს არის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ტაქტიკის დიდმნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც უნდა გამოვიტანოთ კარიბის ზღვის რაიონის უკანასკნელი ამბებიდან.

მუშათა მოძრაობის ისტორიაში უკვე იყო მაგალითები, როცა მშვიდობისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის მთავარ პირობად იქცა. სწორედ ასეთი ვითარება იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო უდავო და ნათელი, ვიდრე შემდეგი ჭეშმარიტება: მოგეხსენება, რომელმაც სამი წლის მძარცველური ომით გატანჯულ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებისა [illegible] კონტრრევოლუციონერთა [illegible] ... [illegible] ... ბოლშევიკებმა რუსეთის ხალხებს მოუტანეს ზავი, გამოიყვანეს იმპერიალისტური ომიდან და შეაკავშირეს საბჭოთა ხელისუფლების გარშემო სოციალიზმისათვის საბრძოლველად მშრომელთა უფროთოესი მასები.

ჩვენი ეპოქის თავისებურება ის არის, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის, ვიდრე ოდესმე წინათ, გახდა არა მარტო მუშათა კლასის, არამედ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(გაგრძელება)

ცხოვრებამ საგანგებოდ დააფასა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორე. ამ მოძღვრების თანახმად, მუშათა კლასი აღწევს გამარჯვებას კაპიტალიზმზე არა სახელმწიფოთა შორის ომების გაჩაღების გზით, არამედ კლასობრივი ბრძოლით ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ისტორია ისე წარიმართა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა რევოლუციის გამარჯვებას მიაღწია პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა მთელი რიგი სოციალისტური სახელმწიფოები.

როცა იწყება ომები იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, მაშინ მწვავდება იმპერიალიზმის მთელი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი, ირყევა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი აპარატი, იქმნება ხელსაყრელი სიტუაცია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც მარცხდებიან ამ ომებში.

სწორედ ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით ვ. ი. ლენინმა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში წამოაყენა თავისი ისტორიული თეზისი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ. და ეს განახორციელეს რუსმა ბოლშევიკებმა, რუსეთის მუშათა კლასმა.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით გააჩაღეს ომი სახელმწიფოთა შორის, რათა მიეღწიათ რევოლუციის გამარჯვებისათვის. პირიქით, ლენინი, ბოლშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ ომი, მაგრამ რამდენადაც საკმარისი არ იყო ძალები ამ ომის თავიდან ასაცილებლად, მაშინ მათ წამოაყენეს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ამოცანა.

ეს სულაც არ არის ის, რაც სურთ ახალგამოჩეკილ თეორეტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ შექმნან „თეორია“, რომლის თანახმადაც სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწევენ სახელმწიფოთა შორის ომით, ნგრევით, მილიონობით ადამიანის სისხლითა და სიკვდილით. კომუნისტებს ამ „თეორიით“ რომ ეხელმძღვანელათ, მაშინ იგი კი არ მიიზიდავდა, არამედ ჩამოაშორებდა მათგან ხალხთა მასებს. ასეთ შედეგს განსაკუთრებით იწვევს ეს „თეორია“ ჩვენს რაკეტულ-ატომურ საუკუნეში. მარქსისტ-ლენინელები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ ომისა და მშვიდობის საკითხებს და ყოველთვის განიხილავდნენ მათ კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით. არ შეიძლება გადავჭრათ ომისა და მშვიდობის საკითხები, თუ რეალურ ვითარებას არ გავითვალისწინებთ. უნდა გვეყოს გამბედაობა — ფხიზლად გავითვალისწინოთ ნამდვილი ფაქტები და მეცნიერული სიზუსტით ავწონ-დავწონოთ, თუ რას გამოიწვევდა ახლანდელი ომი, თავიდან რომ არ აგვეცილებინა იგი. ამჟამად, საზღვარგარეთელ მეცნიერთა და სამხედრო სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ დაახლოებით 40 ათასი ატომური ბომბი და მუხტი. საბჭოთა კავშირსაც, როგორც ცნობილია, საკმარისზე მეტი აქვს ეს დოვლათი. რა მოხდებოდა, რომ მთელი ეს ატომური იარაღი თავს დასტყდომოდა ადამიანებს? მეცნიერთა გამოანგარიშებით, მარტო პირველი დარტყმის შედეგად დაიღუპებოდა 700-800 მილიონი კაცი. პირისაგან მიწისა აღიგვებოდა არა მარტო ორი წამყვანი ატომური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის, არამედ აგრეთვე საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ჩინეთის, იაპონიისა და მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის ყველა დიდი ქალაქი. ატომურწყალბადის ომის შედეგები ზეგავლენას მოახდენდა ადამიანთა მრავალი თაობის ცხოვრებაზე, გამოიწვევდა სნეულებებს, სიკვდილს, ადამიანის უაღრესად მახინჯ განვითარებას.

ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმე დავაშინო, არამედ მხოლოდ ვასახელებ მონაცემებს, რომლებიც მეცნიერებას მოეპოვება. ამ მონაცემებს კი არ შეიძლება არ გავუწიოთ ანგარიში.

უეჭველია, მსოფლიო თერმოატომური ომის შედეგად, იმპერიალისტ მანიაკებს რომ გაეჩაღებინათ იგი, აუცილებლად დაიღუპებოდა კაპიტალიზმის სისტემა, რომელიც ომებს წარმოშობს. მაგრამ განა სოციალისტური ქვეყნები, მთელი მსოფლიოს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმე მოიგებდა მსოფლიო თერმოატომური კატასტროფისაგან? მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ ასე, რომლებიც შეგნებულად არ ითვალისწინებენ ფაქტებს. რაც შეეხება მარქსისტ-ლენინელებს, მათ არ შეუძლიათ წარმოიდგინონ კომუნისტური ცივილიზაციის შექმნა კულტურის მსოფლიო ცენტრების ნანგრევებზე, გაცამტვერებულ და თერმოატომური ნალექებით მოწამლულ მიწაზე. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მრავალი ხალხისათვის სოციალიზმის საკითხი საერთოდ გაქრებოდა, რადგანაც ისინი ფიზიკურად აღიგვებოდნენ პირისაგან ჩვენი პლანეტისა.

საიდუმლოდ გეტყვით: ჩვენმა მეცნიერებმა შეიმუშავეს 100-მეგატონიანი ბომბი. მაგრამ 100-მეგატონიანი ბომბი, ჩვენი სამხედროების ვარაუდით, არ შეიძლება ჩამოვაგდოთ ევროპაში; თუ ჩვენი შესაძლებელი მოწინააღმდეგე ომს გაიჩაღებს, სად ჩამოვაგდოთ იგი, დასავლეთ გერმანიაში თუ საფრანგეთში? მაგრამ ასეთი ბომბების აფეთქება ამ ტერიტორიაზე დაგაზარალებთ თქვენც და ზოგიერთ სხვა ქვეყანასაც. ამიტომ ასეთი იარაღი ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ, ეტყობა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ფარგლებს გარეთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იყოს უფრო რეალური წარმოდგენა იმაზე, თუ ნგრევის რა საშინელი საშუალებანი არსებობენ ამჟამად.

100-მეგატონიანი ბომბი ჯერ კიდევ ზღვარი როდია. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზღვარია შესაძლებელი სამხედრო რაციონალურობის თვალსაზრისით. რადგანაც ნგრევის კიდევ უფრო მძლავრი საშუალებანი შეიძლება უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდნენ იმათთვისაც, ვინც გადაწყვეტს მათს გამოყენებას.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, მე უკვე ვილაპარაკე მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომ საიქიოსკენ აჩქარება არ არის რეკომენდებული; იქიდან არავინ არ დაბრუნებულა და არავის არ მოუხსენებია, რომ იქ უკეთესი ცხოვრებაა, ვიდრე აქ. ჩვენ გვინდა არა ზეციური სასუფეველი, არამედ მიწიერი ცხოვრება, შრომითი ცხოვრება. სწორედ ამისათვის ვიბრძვით ჩვენ და არ დავიშურებთ ძალღონეს, ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ.

საბჭოთა კავშირს მოეპოვება რაკეტულ-ატომური იარაღი და კარგად იცის ამ იარაღის შესაძლებლობანი, ჩვენ იგი შევქმენით ჩვენი სამშობლოსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების დაცვის ინტერესებისათვის. ამიტომ პასუხისმგებლობით ვეკიდებით ომისა და მშვიდობის საკითხებს. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ არც გვშინია მისი თუ თავს მოგვახვევენ ომს, ჩვენ შევძლებთ საკადრისი პასუხი გავცეთ აგრესორებს, და აგრესორებმა იციან ეს.

როგორც იტყვიან, ნეტარ არიან ისინი, ვინც ლაყბობს ომზე და არ კი ესმის, რას ლაყბობს. ალბანეთის ხელმძღვანელები ბევრს ლაყბობენ რაკეტულ-ატომურ ომზე, მაგრამ ეს არავის არ აშფოთებს. ყველამ იცის, რომ, გარდა ლაყბისა, მათ არა აქვთ რა, არავითარი რეალური შესაძლებლობა არ მოეპოვებათ. როგორც ხედავთ, ჩვენ ამ საკითხებში სხვადასხვა მდგომარეობა და სხვადასხვა პასუხისმგებლობა გვაქვს.

სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ლენინმა გამოაცხადა, ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ერთადერთ სწორ პრინციპად. მისი მნიშვნელობა დადასტურებულია, მას ადასტურებს საერთაშორისო ურთიერთობის მთელი პრაქტიკა.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა თანამედროვე პირობებში. როცა მსოფლიოში მხოლოდ ერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, ყველა მხრიდან იმპერიალისტური ქვეყნებით გარშემორტყმული, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა მიზნად ისახავდა მოგვეგო დრო, შეგვესვენა პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის. ახლა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალა ომის ხასიათი, მსოფლიო არენაზე ძალთა ახალი თანაფარდობაა მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების სასარგებლოდ, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას უფრო მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები აქვს, იგი არსებითად ახალი შინაარსით ივსება. მისი საბოლოო მიზანია უზრუნველყოს უაღრესად ხელსაყრელი პირობები, რათა სოციალიზმმა სძლიოს კაპიტალიზმი მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ზოგიერთი ადამიანი ამახინჯებს ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ პოზიციას და საქმეს ისე წარმოსახავს, თითქოს, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას რომ ვაცხადებთ, ამით ჩვენ მოვუწოდებდეთ კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციურ ძალებს, კომუნისტურ პარტიებს უარი თქვან კლასობრივ ბრძოლაზე, მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაზე, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე. ეს უგუნური მონაჯორი და ცილისწამებაა.

საბჭოთა კავშირი ხალხთა სამართლიან ომებს მარტო თავის დეკლარაციებსა და განცხადებებში როდი უჭერს მხარს, ეს მხარდაჭერა ბევრჯერ მატერიალური დახმარებითაც გამოიხატა. ბევრი ხალხი თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში სარგებლობდა ჩვენი იარაღით და მიაღწია გამარჯვებას, მიაღწია კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. კოლონიური ხალხების ომები თავიანთი განთავისუფლებისათვის წმიდათა წმიდა ომებია და ამიტომ ჩვენ ვიყავით, ვართ და ყოველთვის ვიქნებით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა მხარეზე.

ეგრეთწოდებული ომის გზით სოციალიზმის გამარჯვების თეორიის მომხრენი უარყოფენ აგრეთვე იმას, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი გზის გამოყენება სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ამტკიცებენ, რომ ეს გადახვევაა მარქსიზმისაგან. სტალინის კულტის ამ თაყვანისმცემელთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ სტალინი ინგლისელ კომუნისტებთან საუბარში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამბობდა, რომ უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი, პარლამენტური გზა სოციალიზმის გამარჯვებისათვის. და ეს ჩაწერილია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში. ინგლისის კომპარტიის ლიდერებმა იციან, რომ ეს ფორმულა სტალინმა წამოაყენა.

ალბანელი ხელმძღვანელები ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხოლოდ მშვიდობიანი გზისათვის იბრძოდეს და გამორიცხავდეს შეიარაღებული ბრძოლის გზას. შეგვიძლია ვკითხოთ ალბანელ ხელმძღვანელებს: შეუძლიათ თუ არა დაასახელონ რომელმე ქვეყნის კომუნისტური პარტია, რომელსაც მიაჩნდა, რომ ამ ქვეყანაში შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია და ამ ქვეყნის კომუნისტებს სურთ დაიწყონ აჯანყება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კი ილაშქრებდა შეიარაღებული ბრძოლის მეთოდის გამოყენების წინააღმდეგ? იქნებ, ალბანელებს აქვთ ასეთი მაგალითი? არა, ისინი ვერ მოიყვანენ ასეთ მაგალითს, რადგან იგი არ არსებობს.

ალბანელ ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ შეიძლება ხელოვნურად გამოიწვიონ რევოლუცია, როცა ისინი მოისურვებენ, რომ რევოლუციის მოხდენისათვის არ არის საჭირო აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური პირობები. მათი „თეორიით“ ყველაფერი მეტად მარტივად გამოდის: ჩნდებიან გმირები და იწყებენ აჯანყებას. მაგრამ ისტორიაში ასეთი ფაქტი არ ყოფილა და არ იქნება. ასეთ, უკაცრაული პასუხია, „თეორიას“ საერთო არა აქვს რა მარქსიზმთან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს ვადგავართ. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა გარკვეული წანამძღვრები. თუ შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია, მუშათა კლასმა თავისი ავანგარდის მეთაურობით უნდა გამოიყენოს იგი ძალაუფლების დასაპყრობად. თუ ექსპლოატატორული კლასები იყენებენ ძალმომრეობას ხალხის მიმართ, ხალხს უფლება აქვს გამოიყენოს ყველაზე გადამწყვეტი საშუალებანი, მათ შორის შეიარაღებული ბრძოლაც სოციალიზმის გამარჯვების ინტერესებისათვის.

ბრძოლა კაპიტალიზმის ქვეყნებში თვითეული ქვეყნის მუშათა მოძრაობის საშინაო საკითხია. მხოლოდ კაპიტალიზმის ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატის პარტიას, და არა სხვა სახელმწიფოს ან სხვა პარტიებს, აქვს უფლება და ძალუძს განსაზღვროს თავისი ბრძოლის რევოლუციური ტაქტიკა, ფორმები და მეთოდები.

კონკრეტული სიტუაციის ზუსტი ანალიზი, კლასობრივი ძალების თანაფარდობის სწორი შეფასება მუშათა კლასის რევოლუციური ტაქტიკის აუცილებელი პირობაა. ყველასათვის ცნობილია, თუ რა მოქნილი ტაქტიკა გამოიყენეს ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით, როცა ოქტომბრის რევოლუციას ამზადებდნენ რუსეთში.

1905 წელს რუსეთის მუშათა კლასის აჯანყება რომ დამარცხდა, ვ. ი. ლენინმა წინასწარმეტყველურად განაცხადა, ეს რევოლუციის რეპეტიცია იყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთში რომ დაბრუნდა, ვ. ი. ლენინმა მაშინვე წამოაყენა ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“. ეს იყო პირდაპირი მოწოდება, რომ დაემხოთ ბურჟუაზიული წყობილება და დამყარებინათ პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოების ფორმით.

რაც შეეხება ბრძოლის მეთოდებს, სიტუაციის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინი 1917 წლის აპრილ-ივნისში ითვალისწინებდა ძალაუფლების მშვიდობიანი გზით დაპყრობის შესაძლებლობას, მიუხედავად თუნდაც იმ გარემოებისა, რომ კომუნისტებს არ ჰქონდათ უმრავლესობა საბჭოებში. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ასეთ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის დროს **შესაძლებელიცაა** და **მოსალოდნელიც**“. (თხზ., ტ. 26, გვ. 24).

პეტროგრადის ივლისის ამბებმა ცხადყვეს, რომ მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ ორგანიზებული და პირობები რევოლუციისათვის ჯერ არ იყო მომწიფებული. იმ მომენტში უდისციპლინო ადამიანები და განსაკუთრებით მოანარქისტო ელემენტები „ბრძოლაში მიიწევდნენ“, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას. მაგრამ ეს ხელსაყრელი იყო მხოლოდ კონტრრევოლუციისათვის, რომელსაც სურდა პროვოკაციის მიზნით დაეწყო აჯანყება და დაემარცხებინა არაორგანიზებული მუშათა კლასი — ჯერ პიტერში, ხოლო შემდეგ რუსეთის სხვა ქალაქებშიც. ვ. ი. ლენინმა გაითვალისწინა ყოველივე ეს და გაილაშქრა რევოლუციური აჯანყების ლოზუნგის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავდა, რომ რევოლუციური ძალები ჯერ არ მომწიფებულან იმისათვის, რომ ჩაებან პირდაპირ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან, და მოუწოდებდა მუშათა კლასს ხელი აეღო გამოსვლაზე. და ლენინი უაღრესად მართალი იყო. 1917 წლის 4 ივლისის დემონსტრაცია პეტროგრადში ჩაახშეს.

ახალ სიტუაციასთან დაკავშირებით პასუხად ბურჟუაზიის ძალადობისა — ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტისა — ბოლშევიკებმა წამოაყენეს შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1917 წლის სექტემბერში, ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, კლასმა შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა შესაძლებელი იყო ძალაუფლების ხელში აღება მშვიდობიანი გზით, და ლენინი კვლავ მოითხოვდა ამ შესაძლებლობის გამოყენებას. „თუ მთელ ძალაუფლებას აიღებენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საბჭოებს ახლაც შეუძლიათ — და, ალბათ, ეს მათი უკანასკნელი შანსია — უზრუნველყონ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, ხალხის მიერ თავისი დეპუტატების მშვიდობიანად არჩევა, საბჭოების შიგნით პარტიების მშვიდობიანი ბრძოლა, სხვადასხვა პარტიის პროგრამათა გამოცდა პრაქტიკით, ერთი პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გადასვლა“. (თხზ., ტომი 26, გვ. 63). მთელი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ იმ მომენტში ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, ეკისრება წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც ბურჟუაზიასთან შეთანხმება ამჯობინეს და გამოვიდნენ კომუნისტების წინააღმდეგ.

რევოლუციური ამბები იმ პერიოდში მეტად სწრაფად ვითარდებოდა, რევოლუციური ძალები სწრაფად მწიფდებოდნენ და უკვე ერთი თვის შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში, ვ. ი. ლენინმა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა დაუყოვნებლივი შეიარაღებული აჯანყების მოთხოვნა. მან ზუსტად განსაზღვრა ამ აჯანყების ვადა — 25 ოქტომბერი, ამასთან ხაზი გაუსვა, 24 ოქტომბერი — ჯერ ადრეა, ხოლო 26 — შეიძლება უკვე გვიან იყოსო.

ვის შეეძლო ასეთი სიზუსტით განესაზღვრა აჯანყების ვადა და ამით უზრუნველეყო მისი წარმატება? ეს შეეძლო მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულ ბოლშევიკების პარტიას და სხვას არავის. ეს შეეძლო განესაზღვრა მუშათა კლასის ნამდვილ ბელადს, კომუნისტური პარტიის ბელადს — დიდ ლენინს.

აჯანყების დაწყების ზუსტი დრო რომ განესაზღვროთ, ყველა მონაცემი უნდა გვქონდეს ამისათვის: ზუსტად უნდა ვიცოდეთ კლასობრივი ძალების განლაგება და ურთიერთმოქმედება ქვეყანაში. ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა გვქონდეს მჭიდრო კავშირი მასებთან, გვქონდეს კარგი बარომეტრი, რომელიც გვიჩვენებდა მასების რევოლუციურ მდგომარეობას დროის მოცემულ პერიოდში. ვ. ი. ლენინი, რომელიც ხალხის შუაგულ მასებში იყო, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების პარტიას — რევოლუციური ძალების ავანგარდს, კარგად გრნობდა რევოლუციურ მაჯისცემას. ამიტომ მას, როგორც დიდ სტრატეგს, დიდ ტაქტიკოსსა და ორგანიზატორს, შეეძლო ზუსტად განესაზღვრა რევოლუციური აჯანყების დაწყების დღე. მუშათა კლასის აჯანყებას მხარი დაუჭირა თელმა მშრომელმა ხალხმა, და რევოლუციის საქმემ გაიმარჯვა.

აი მუშათა კლასის ავანგარდის მოქნილი ტაქტიკის თვალსაჩინო მაგალითი, მაგალითი ბრძოლის ყველა ფორმის — როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი ფორმის ათვისებისა, მაგალითი იმ უნარისა, რომ უაღრესად სწრაფად და მოულოდნელად შეიცვალოს ერთი ფორმა მეორით.

რევოლუცია ხალხთა ყველაზე ფართო მასების საქმეა. მხოლოდ საკუთარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების საფუძველზე ემზადებიან თვითეული ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი რევოლუციის განხორციელებისათვის. რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის მდიდარ ისტორიაში იყო იმის მაგალითები, თუ როგორ ცდილობდნენ რევოლუციური მოღვაწეები უგულებელეყოთ ხალხთა მასების ბრძოლა. მოძრაობას ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ რუსეთში თავდაპირველად აწარმოებდნენ თითოოროლა გმირი ნაროდოვოლცები, ბაკუნინელები, კროპოტკინელები. ისინი ცდილობდნენ გადახტომოდნენ ხალხთა მასების რევოლუციური მოძრაობის მომზადების ისტორიულად საჭირო ეტაპს.

ასეთ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ხელში უნდა აეღოთ ნაჯახი, ჩაედინათ ტერორისტული აქტები ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, და ეს უზრუნველყოფდა რევოლუციის წარმატებას. ისინი ამზადებდნენ შეთქმულებებს, მეფეთა სიცოცხლის ხელყოფასა და მკვლელობებს, ფიქრობდნენ, რომ მგრის თვითონ შეუძლია მოახდინოს რევოლუცია და საკუთარი სისხლით მოუპოვოს ბედნიერება ხალხს. ასეთ უნაყოფო ბრძოლაში იღუპებოდა ჩვენი ხალხის ბევრი საუკეთესო შვილი, მისი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. თქვენ იცით, რომ ვ. ი. ლენინის ძმა —ალექსანდრე ულიანოვი ამ გზას დაადგა და მეფის სიცოცხლის ხელყოფისათვის სიკვდილით დაისაჯა. ძმის სიკვდილით დასჯის დღეს ვლადიმერ ილიას-ძემ თქვა: — ჩვენ სხვა გზას დავადგებით. გამარჯვება შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ მასების ბრძოლამ მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით. თითო-ოროლა გმირნი შეიძლება ლამაზად დაიხოცონ, მაგრამ ისინი ვერც სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას შეცვლიან, ვერც რევოლუციის გამარჯვებას მიაღწევენ.

რევოლუციამ რომ ნამდვილად გაიმარჯვოს, უნდა მომწიფდეს რევოლუციური სიტუაცია, ხალხმა, და უწინარეს ყოვლისა მისმა ავანგარდმა — მუშათა კლასმა, როგორც ყველაზე ორგანიზებულმა ძალამ კაპიტალისტურ სამყაროში, უნდა შეიგნოს, რომ საჭიროა რევოლუცია. ქარაფშუტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საკმარისია თითო-ოროლა გაბედული, ჭკვიანი, რევოლუციის ერთგული მოღვაწე, და ეს უზრუნველყოფს მის გამარჯვებას. ექსპლოატატორთა კლასების ბატონობის დასამხობად საჭიროა არა ცალკეულ გმირ პიროვნებათა, არამედ ხალხთა ფართო მასების საქმიანობა რევოლუციური პარტიის მეთაურობით, საჭიროა კონკრეტული პირობები რევოლუციის მომწიფებისათვის, კაპიტალიზმზე იერიშის მიტანისა და მუშათა კლასის გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ ძალაუფლება გადაეცეს მშრომელებს, ხალხს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

უკანასკნელ ცნობები

დიდი ინგლერესი

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ გერმანიის ურთიერთ სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინგლისში.

რეიტერის სააგენტომ უმალვე გადასცა [illegible] ცნობები, რომლებშიც გადმოცემულია ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში ხრუშჩოვის [illegible] ძირითადი მომენტები. ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ გადასცა ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციამ უკანასკნელ ცნობათა დილის გამოშვებაში.

საინფორმაციო სააგენტოები და რადიო იუწყებიან, რომ ყრილობის დელეგატები მეტუხარე ტაშით შეხვდნენ ხკკპ დელეგაციის მეთაურს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა.

ცნობებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ დიდი ადგილი უჭირავს ლონდონის საღამოს გაზეთების პირველ გამოცემებში.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ ინფორმაციას ამ თემაზე აქვეყნებს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით, რომლებშიც ნათქვამია: „რუსეთმა დიდი ხანია გაუსწრო ევროპას. ბ-ნი ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეუბნება: სადაცაა დაგიწვევთ, ხორციელდება ლენინის ოცნება“.

„ივნინგ სტანდარდი“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მიღწევებს. გაზეთი განსაკუთრებით გამოჰყოფს მისი სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ პარტიის ახალი პროგრამის მიღების შემდეგ განვლილ წელიწადში საბჭოთა ხალხმა აწარმოა მეტი მატერიალური ფასეულობანი, ვიდრე ომამდელი 13 წლის განმავლობაში.

ცნობა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ გამოაქვეყნა აგრეთვე „ივნინგ ნიუსმა“.

ნ. გრიუნიცკი—ტოგოს დროებითი პრეზიდენტი

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლომედან იუწყება, ტოგოს პირველი მთავრობის უოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკოლას გრიუნიცკი დანიშნულია ტოგოს დროებით პრეზიდენტად და მთავრობის მეთაურად.

ქონგოს მთავრობა მანიფესტს ბელგიას წარუდგენს

ლეოპოლდვილი, 15 იანვარი (საკდესი). მიღებული ცნობების თანახმად, კონგოს პრემიერ-მინისტრმა სირილ ადულამ მიიღო კატანგის სეპარატისტთა მეთაურის ჩომბეს წერილი, რომელშიც ჩომბე იუწყება, რომ მზად არის დაიმორჩილოს ცენტრალური მთავრობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ხელი აიღოს კატანგის გამოყოფაზე.

იუწყებიან, რომ კონგოს რესპუბლიკის მთავრობა თავის სხდომაზე იხილავს ამ წერილს.

ა. მიკოიანმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში პან ძი-ლი

16 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში პან ძი-ლი და მასთან ჰქონდა გულთბილი მეგობრული საუბარი.

მიფრინავს „მარსი-1“

8-დან 15 იანვრამდე მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები საპლანეტათშორისო სადგურთან „მარსი-1“. განხორციელდა ტრაექტორიის გაზომვები და მიღებულია ტელემეტრიული ინფორმაციები. სადგურთან კავშირის დროს მანძილი დედამიწიდან სადგურამდე შეადგენდა 33 მილიონ 484 ათას კილომეტრს.

16 იანვარს დილის 8 საათზე ავტომატური სადგურის „მარსი-1“ ასტრონომიული კოორდინატები შემდეგია: პირდაპირი ამმასვლა — 6 საათი და 22 წუთი, დახრილობა — 36 გრადუსი და 53 მინუტი.

ხალხთა ძმობის მომღერალი

საიათნოვას დაბადებიდან 250 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომისია

ერევანი, 15 იანვარი. (საკდესის კორ.). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით წელს აღინიშნება დიდი სომეხი პოეტის საიათნოვას დაბადების 250 წლისთავი.

ამ საზეიმო თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა მთავრობის საიუბილეო კომისია, რომელსაც მეთაურობს სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ქოჩინიანი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სომხეთის, აგრეთვე სხვა რესპუბლიკების ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

დიდი მოგებები

წითელწყაროს, 16 იანვარი. (საკდესი). რაიონის სკოლების ბევრმა მოსწავლემ შეიძინა ლატარიის ბილეთები. ბევრ მათგანს დიდი მოგება ხვდა. მაგალითად, მოსწავლე ა. ბიგოლაშვილმა მოიგო მაცივარი „დნეპერი“, რ. ბონაშვილმა — საკერავი მანქანა, ბ. მარტყოფლიშვილმა — პიანინო, ი. იაკობაშვილმა — 500 მანეთი.

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობაში

ბაიმართა საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის საორგანიზაციო სხდომა, რომელიც არჩეულია რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა პირველ (დამფუძნებელ) ყრილობაზე. სხდომაზე აირჩიეს გამგეობის პრეზიდიუმი, რომელშიც შეეიდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კინომსახიობი **დ. აბაშიძე,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორ-ოპერატორი **გ. ასათიანი,** კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორი **ა. ბაქრაძე, გ. გიგოლაშვილი,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი კინორეჟისორი **ს. დოლიძე,** კინორეჟისორი **თ. მელიავა,** კინოოპერატორი **ლ. პაატაშვილი,** კინორეჟისორი **კ. პიპინაშვილი,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი კინორეჟისორი **დ. რონდელი,** საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინორეჟისორი **ნ. სანიშვილი,** კინოდრამატურგი **რ. თაბუკაშვილი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი **მ. ჭიაურელი,** საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინორეჟისორი **რ. ჩხეიძე.**

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის მდივნად არჩეული არიან: **ს. დოლიძე, დ. რონდელი, რ. თაბუკაშვილი, გ. გიგოლაშვილი.**

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის სარევიზიო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. კიკნაძე.**

გამგეობის სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.** (საკდესი).



ბევერვიიკის ტურნირზე

ბევერვიიკის საჭადრაკო ტურნირის ყველა ტურს თვალსაჩინო სიახლენი შეაქვს გათამაშების ცხრილში.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დ. ბრონშ